საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ოთხშაბათი, 9 თებერვალი. 2022 წ. №22 (9360) ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი

ქართული განათლებისა და აზროვნების მესაძირკვლე

<u>სალომე ზურაბიშვილი</u> თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს დაარსების დღეს ულოცავს

საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს, პროფესორმასწავლებლებსა და რექტორატს გუშინ უნივერსიტეტის დაარსების დღე მიულოცა.

„გილოცავთ დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს. ჩვენი საზოგადოებისთვის ეს დღე სამუდამოდ დაუკავშირდა პირველი ქართული უნივერსიტეტის დაარსებას. უნივერსიტეტის დაარსების იდეის ირგვლივ გაერთიანდა მაშინდელი ქართველი საზოგადოება მიუხედავად მრავალფეროვანი პოლიტიკური და პარტიული შემადგენლობისა. მეცნიერების, ქართული სამეცნიერო და საგანმანათლებლო ინსტიტუციების განვითარება და უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობა საქართველოში კვლავ ჩვენი საზოგადოებრივი და პოლიტიკური აზროვნების ფუნდამენტია, რომლის ირგვლივ, მჯერა, რომ ჩვენი საზოგადოება დღესაც ერთიანია. მჯერა, რომ სწორედ განათლების, მეცნიერებისა და კულტურის საკითხები იქნება ჩვენი პოლარიზებული საზოგადოების მთავარი გამაერთიანებელი ეროვნული თანხმობის პროცესში.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს, პროფესორ-მასწავლებლებსა და რექტორატს ქართული საზოგადოების სახელით ვულოცავ უნივერსიტეტის დაარსების დღეს“!

<u>ირაკლი ღარიბაშვილი:</u> უნივერსიტეტი – ჩვენი ისტორიისა და კულტურის უმნიშვნელოვანესი მონაპოვარი!

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტს დაარსებიდან 104 წელი შეუსრულდა. პირადად ჩემი და საქართველოს მთავრობის სახელით კვლავაც თანადგომას ვპირდები უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას, თითოეულ პროფესორს, სტუდენტსა და თანამშრომელს.

მათთან ერთად ყველა კურსდამთავრებულს, მთლიანად ქართველ საზოგადოებას ვულოცავ უნივერსიტეტის დღეს!

„საქართველოსა და ამიერკავკასიაში პირველი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ჩვენი ისტორიისა და კულტურის უმნიშვნელოვანესი მონაპოვარია. იგი ათასწლოვანი საგანმანათლებლო ტრადიციების გაგრძელებაა, რომელიც დაარსების დღიდან მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს არა მხოლოდ ჩვენი ქვეყნის მეცნიერებისა და განათლების განვითარებას, არამედ მის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, შემოქმედებით და საზოგადოებრივ ცხოვრებას.

დღეს მადლიერების გრძნობით ვიხსენებთ უნივერსიტეტის დამფუძნებელთა – ივანე ჯავახიშვილის, პეტრე მელიქიშვილის, კონსტანტინე აფხაზის, ექვთიმე თაყაიშვილის, დიმიტრი უზნაძისა და სხვა დიდ მამულიშვილთა ღვაწლს. პატივს მივაგებთ ყველას, ვინც საკუთარი ცხოვრება დედაუნივერსიტეტს მიუძღვნა.

პირადად ჩემი და საქართველოს მთავრობის სახელით კვლავაც თანადგომას ვპირდები უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას, თითოეულ პროფესორს, სტუდენტსა და თანამშრომელს. მათთან ერთად ყველა კურსდამთავრებულს, მთლიანად ქართველ საზოგადოებას ვულოცავ დღევანდელ დღეს“, – წერს ირაკლი ღარიბაშვილი სოციალურ ქსელში.

ირაკლი გოგავა: თუ გვსურს სწორი ანალიზი, უნდა მივყვეთ ფულს....

③

მშვიდობას აქვს ერთი კარგი თვისება, რაც არ უნდა ცუდი ხელისუფლება იყოს, რაც არ უნდა კოლონია იყო, რაც არ უნდა ჭირდეს ცხოვრება, ქვეყანაში მაინც გროვდება დოვლათი და საერთო ჯამში ქვეყანა წინ მიდის და ამას ხალხი თავად აკეთებს. მიმაჩნია, რომ დღეს ივანიშვილს ამ თვალსაზრისით აქვს ერთადერთი სწორი მიმართულება. რას დავარქმევთ ამას მნიშვნელობა არა აქვს: სტრატეგიული თმენას თუ ლავირების ტაქტიკას. მთავარია, ეს მიდგომა უზრუნველყოფს მშვიდობას. ეს კი ამ რეალობაში, ამ რეგიონში, ამ მეზობლებში ურთულესი ამოცანაა. ვფიქრობ, რომ მან გაშიფრა, თუ როგორ მუშაობს საერთაშორისო სისტემა და ისე ალაგებს, რომ ურთიერთობებს საქართველოს არ აყენებინებს ჩვენთვის სახიფათო თამაშებში!..

თანამედროვე „აბრაკადაბრა“

იხ. 2 გვ.

რუსეთის სამხედრო-საზღვაო ძალების ექვსი ხომალდი შავი ზღვისკენ მიემართება...

რუსეთის სამხედრო-საზღვაო ძალების ექვსი ხომალდი შავი ზღვისკენ მიემართება, სადაც სამხედრო წვრთნებში მიიღებენ მონაწილეობას. ინფორმაციას „როიტერი“ ავრცელებს.

რუსული სამხედრო ხომალდები ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებს დღეს გაივლიან. რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ გასულ თვეში განაცხადა, რომ წყნარი ოკეანიდან დაწყებული ატლანტიკის ჩათვლით ქვეყნის ყველა ფლოტი იანვარში და თებერვალში სამხედრო წვრთნებს ჩაატარებს.

ყურადღება! ვინაიდან კოვიდპანდემიამ ისევ რთული ვითარება შექმნა რედაქციაში, ჩვენი ყოველდღიური გაზეთი, მომდევნო ერთი თვის განმავლობაში გამოვა კვირაში სამჯერ. ბოდიშს გიხდით მცირედი შეფერხებისთვის.

ევროპულმა სასამართლომ რუსეთის წინააღმდეგ ინდივიდუალური საჩივრების განხილვა დაიწყო

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის (საია) ინფორმაციით, ევროპულმა სასამართლომ 2008 წლის ომთან დაკავშირებით რუსეთის წინაალმდეგ ინდივიდუალური საჩივრების განხილვა დაიწყო.

როგორც ორგანიზაციის მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, 2022 წლის 7 თებერვალს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსგან მიღებული კომუნიკაციის თანახმად, სასამართლომ 2008 წლის ომთან დაკავშირებით ინდივიდუალური საჩივრების არსებითი განხილვა დაიწყო. კერძოდ, სასამართლომ ინდივიდუალურად წარდგენილ 59 საჩივართან (ჯიოშვილი რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ და 58 სხვა საჩივარი) დაკავშირებით რუსეთის ფედერაციას კითხვებით მიმართა. განსახილველ საქმეებს შორის არის საიას მიერ გაგზავნილი 12 საჩივარი, რომელიც 78 ადამიანის ინტერესების დაცვას ეხება:

როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე იცავს 2008 წლის აგვისტოს ომის დროს 350-ზე მეტ დაზარალებულ ადამიანს. საიას ჯამში 53 საჩივარი აქვს წარდგენილი, რომელიც ომის დროს რუსეთის ფედერაციის მხრიდან ევროპული კონვენციით გათვალისწინებული სხვადასხვა უფლების დარღვევას შეეხება.

2022 წლის 7 თებერვალს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსგან მიღებული კომუნიკაციის თანახმად, სასამართლომ 2008 წლის ომთან დაკავშირებით ინდივიდუალური საჩივრების არსებითი განხილვა დაიწყო. კერძოდ, სასამართლომ ინდივიდუალურად წარდგენილ 59 საჩივართან (ჯიოშვილი რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ და 58 სხვა საჩივარი) დაკავშირებით რუსეთის ფედერაციას კითხვებით მიმართა. განსახილველ საქმეებს შორის არის საიას მიერ გაგზავნილი 12 საჩივარი, რომელიც 78 ადამიანის ინტერესების დაცვას ეხება.



თანამედროვე „აბრაკადაბრა“

ახლო წარსულში „დაწყევლილმა“ კომუნისტებმა ჩვენს პატარა ქვეყანას დაუტოვეს საერთაშორისოდ აღიარებული სახელმწიფო საზღვრები. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ ქვეყნის ორ მხარეში განვითარდა ეთნიკური კონფლიქტები, რის შედეგადაც დაიკარგა ქვეყნის მიწა-წყლის 20 პროცენტი, დაირღვა სახელმწიფოს საზღვრების მთლიანობა, ხოლო ამ ძირძველი ქართული მიწებიდან მოხდა ქართული მოსახლეობის ეთნიკური წმენდა და აყრა...

ამ ყველაფრის მიზეზად დავასახელეთ დიდი მეზობლის, ატომური სახელმწიფო რუსეთის დიქტატორული აგრესიული პოლიტიკა.

უკვე სამი ათეული წელია, ქვეყანა ცდილობს, უფრო შორეული ატომური ზესახელმწიფოს — ამერიკისა და ევროკავშირის დახმარებით დაიბრუნოს დაკარგული მიწა-წყალი და აღიდგინოს თავისი ქვეყნის კანონიერი საზღვრები. თუმცა, ამ საკითხზე არსებობს ურთიერთსაწინააღმდეგო აზრები და განსხვავებული შეხედულებები. კერძოდ, ჩვენ ხაზგასმით ვამბობთ: რუსეთი აგრესორია, ოკუპანტია, მოახდინა ჩვენი მიწა-წყლის ოკუპაცია, აფხაზეთსა და სამაჩაბლოში ჩააყენა თავისი სამხედრო შენაერთები, გამოდევნა ქართველი მოსახლეობა საკუთარი სახლებიდან, დაარღვია ქვეყნის საზღვრების მთლიანობა და ა.შ.

რუსები ამბობენ, რომ „მშვდობისმყოფელები“ არიან, შეიარაღებული კონფლიქტის დროს გააშველეს დაპირისპირებული, მოჩხუბარი მხარეები, დაიცვეს ეს მცირე ხალხები და მშვიდობა დაამყარეს რეგიონში... დანარჩენ უკანონო ქმედებებზე — „ამ კვაზირესპუბლიკების აღიარება“, სამხედრო ნაწილების განთავსება, უკანონო ბორდერიზაცია, — თავს იმართლებენ და მაგალითად მოჰყავთ „კოსოვოს აღიარების პრეცედენტი“, რომლის შემოქმედი დასავლეთელი ბობოლები ცინიკურად გვიმტკიცებენ, რომ იქ არსებული ეთნიკური (რელიგიური) კონფლიქტის დროს (მიუხედავად ნატოს ჩარევისა), ეს იყო ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება ბალკანეთში მშვიდობის დამყარებისაო!

რაც შეეხება ჩვენს უსუსურ ქვეყანას, ამ კონფლიქტების შედეგად დაკარგული მიწა-წყლის დაბრუნება იმდენად ჩახლართული, ძნელი და რთული პროცესია, რომ აგერ უკვე ათეული წლები გრძელდება და საკითხის მოგვარებას ბოლო არ უჩანს, ხოლო თავისი შინაარსით ის რაღაც „აბრაკადაბრას“ დაემსგავსა და, როგორ დამთავრდება, არავინ უწყის! ერთობ საგულისყურო და დამაფიქრებელია ამ საკითხზე მეოცე საუკუნის ცნობილი დიქტატორის, ფაშიზმის მთავარი შემოქმედის ადოლფ ჰიტლერის გამონათქვამი: „უნდა გვასხოვდეს, რომ დაკარგული ტერიტორიები ერთა ლიგის კონფერენციებით კი არ ბრუნდება, არამედ იარაღის ძალით“!.. ჩვენს შემთხვევაში ეს აზრი, გასაგები მიზეზების გამო, რა თქმა უნდა, მიუღებელია. ჯერ ერთი, საქართველო ისრაელი არ არის, რომც იყოს, ატომურ სახელმწიფოსთან რაიმე ძალისმიერ დაპირისპირებას აზრი არა აქვს და ამას ისედაც ყველა ჩვენი პარტნიორი გაურბის.

ადამიანს „გონიერი არსება“ იმიტომ ჰქვია, რომ საჭიროა ამ პრობლემის დიპლომატიური, მშვიდობიანი გზით მოგვარება, სხვანაირად ქვეყანა სრულყოფილი სახელმწიფო ვეღარასოდეს გახდება.

მიუხედავად იმისა, რომ მთელი მსოფლიო თანამეგობრობა ჩვენი მიწა-წყლის მთლიანობას ცნობს, ქვეყანა რეალური კანონიერი საზღვრების გარეშე ბევრი მნიშვნელოვანი პრობლემის წინაშე დგას, სხვა რომ არაფერი, ასეთ პირობებში ნატოზე საუბარი მხოლოდ კარგ მოგონებად დაგვრჩება!..

ალბათ დროა, საქართველოს ყველა პოლიტიკურმა პარტიამ თავისი საპროგრამო მოქმედების ძირითად საკითხად ქვეყნის ტერტორიული მოწყობის და საზღვრების აღდგენა-დაცვის საკითხი წარმოადგინოს და ხალხს გაუზიაროს, ვიდრე გაუაზრებლად, მუდმივად რაღაც აპროტესტოს, რეზოლუციები წეროს და ანგარიშმიუცემლად ილანძღოს...

ეს უტვინო, არაადამიანური დამოკიდებულება ქვეყანას არაფერში წაადგება!

ბონდო ქოგულია,
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

კახა კალაძე: „ნაციონალური მოძრაობა“ ყველა ოპოზიციური პარტიის დამონებას ცდილობს!

„ნაციონალური მოძრაობა“ ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ დაიმონოს ყველა ოპოზიციური პარტია, მათი ზემოქმედების ქვეშ იყვნენ, შემდეგ „აბულინგოს“ ტელევიზიებით, — ასე ეხმაურება დედაქალაქის მერი კახა კალაძე ოპოზიციონერი ლიდერის გიგი უგულავას ინიციატივას, ოპოზიციური პარტიების „ნაციონალური მოძრაობის“ ქოლგის ქვეშ გაერთიანების შესახებ.

„მე მგონია, რომ ეს მწარე გამოცდილება ოპოზიციამ ძალიან კარგად გაიზიარა, როდესაც ისინი „ნაციონალური მოძრაობის“ ტყვეობაში აღმოჩნდნენ და რა მიიღეს ამით, ყველა ოპოზიციურმა პარტიამ საკუთარ თავსა და საკუთარი პარტიის წარმომადგენელზე იწვნია. შესაბამისად, ვფიქრობ, ოპოზიციამ ჭკუა ისწავლა, თუ როგორ უნდა იმოქმედოს, რა უნდა გააკეთოს. „ნაციონალური მოძრაობა“ ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ დაიმონოს ყველა ოპოზიციური პარტია, მათი ზემოქმედების ქვეშ იყვნენ, შემდეგ „აბულინგოს“ ტელევიზიებით. ბევრი მაგალითი შეგვიძლია მოვიყვანოთ, თუ რა განცხადებებს აკეთებდნენ, როგორი ბულინგი მიდიოდა, როგორ ატერორებდნენ სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის წევრებს, თუნდაც პარლამენტში შესვლასთან დაკავშირებით. ხომ გვახსოვს, ეს ყველაფერი? ავიღოთ მარტივი, ელისაშვილის პარტიის მაგალითი, რა უქნეს ბიჭს?! გადაუარეს, გაანადგურეს, დღეს თვითონ შევიდნენ პარლამენტში. ეს არის რეალობა“...

46 დევნილ ოჯახს ბინები გადაეცა

დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტომ თბილისში, ახალაშენებულ კორპუსში იძულებით გადაადგილებულ 46 ოჯახს ბინები გადასცა, — ამის შესახებ ინფორმაციას დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო ავრცელებს.

მათივე ინფორმაციით, ამ ეტაპზე, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საცხოვრებელი ფართები ყოფილ სანატორიუმ „ქართლსა“ და ყოფილ სასტუმრო „ოქროს საწმისში“ მცხოვრებმა დევნილმა ოჯახებმა მიიღეს. ბინები კენჭისყრის პრინციპით განაწილდა. ღონისძიებას დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს დირექტორი ჯაბა სირბილაძე და დირექტორის მოადგილე დავით გურამიშვილი ესწრებოდნენ.

იძულებით გადაადგილებული ოჯახებისთვის უსაფრთხო საცხოვრებელი პირობების შექმნა სააგენტოს უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენს. გაცემული დაპირების შესაბამისად, ყოფილ სანატორიუმ „ქართლის“ შენობაში მცხოვრები ოჯახების საკითხის გადაწყვეტის მიზნით, უმოკლეს ვადაში, არაერთი ქმედითი ნაბიჯი გადაიდგა. გასულ კვირაში სანატორიუმში მცხოვრები 16 ოჯახი განსახლდა. ამ ეტაპზე კი, ბინა 17-მა ოჯახმა მიიღო. 2022 წელს, ეტაპობრივად, „ქართლში“ მცხოვრები ყველა დევნილი სათანადო საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილდება. დევნილთა განსახლების პროცესი, მთელი ქვეყნის მასშტაბით, აქტიურად მიმდინარეობს. 2022-2024 წლებში, ღირსეულ საცხოვრებელს იძულებით გადაადგილებული 13 000 ოჯახი მიიღებს.

საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტი, პოლიტოლოგი, ირაკლი ბოგავა, რომელიც წლების განმავლობაში მუშაობდა უკრაინაში (2009-2010 წლებში იყო პრეზიდენტ ვიქტორ იუშჩენკოს კონსულტანტი ამერიკული საკონსულტაციო კომპანიის ეგიდით, ასევე კონსულტაციას უწევდა უკრაინის მთავრობას 2018 წელს), აცხადებს, რომ სავსებით შესაძლებელია რუსეთის და უკრაინელების შეთანხმებაც იყოს სამხედრო შეჭრის თაობაზე, ისევე როგორც ეს მოხდა 2008 წელს საქართველოში. მისი თქმით, ის რასაც დღეს „მცირე შეჭრას“ ეძახიან, ზუსტად ეს იყო აგვისტოს ომი, როდესაც სააკაშვილმა ჩააბარა რუსებს ჩვენი ტერიტორიები, თან ისე, რომ წინასწარ „გამართა“ სამართლებრივად რუსეთის სასარგებლოდ კოდორის და ახალგორის მდგომარეობა...

ირაკლი ბოგავა: თუ გვსურს სწორი ანალიზი, უნდა მივყვეთ ფულს, ძალაუფლების შენარჩუნების და გაფართოების მოტივაციებს, დანარჩენი კი ლირიკაა!..

– ბატონო ირაკლი, თქვენ მუშაობდით უკრაინაში, საქმიანი შეხება გქონდათ უმაღლესი თანამდებობის პირებთან და წლების განმავლობაში აკვირდებოდით იქ მიმდინარე პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ პროცესებს. დღეს, ამ გადმოსახედიდან რა შეგიძლიათ გვითხრათ?

– პირველად უკრაინით 2004 წელს დავინტერესდი. ერთ-ერთმა ევროპულმა ანალიტიკურმა ცენტრმა მიმიწვია უკრაინის პირველი მაიდნის პროცესების ანალიზისთვის. შემდეგ 2009-2011 წლებში ვმუშაობდი იქ და ბოლოს 2018 წელს რეფორმების საკითხებზე. უკრაინა უძლიერესი პოტენციის ქვეყანაა. სსრკ როცა დაიშალა, უკრაინა დასავლეთ გერმანიაზე უფრო მეტ სამრეწველო პროდუქციას უშვებდა, თანაც ქარხნების უმრავლესობა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ აშენებული, აღდგენილი ანუ შედარებით ახალი იყო. ომის დროს ბერია ხელმძღვანელობდა ქარხნების ევაკუაციის პროგრამას და ინდუსტრია რამდენიმე თვეში გადაიტანეს ურალზე, ცენტრალურ აზიაში, სამხრეთ კავკასიაში.

ომის შემდეგ კი ეს ქარხნები ძირითადად დატოვეს და უკრაინაში, ბელორუსში ახლები ააშენეს. სხვათა შორის, თბილისის საავიაციო ქარხანაც ტაგანროგიდან არის გადმოტანილი. რა აქვს უკრაინას? – 5 ატომური სადგური იაფი სტაბილური ენერგიით, ფაბრიკა-ქარხნები, 42 მლნ ჰექტარი სასოფლო მიწა, საიდანაც 26 მილიონი ჰექტარი შავმიწაა და მსოფლიოში საუკეთესო – ბანგლადეშის და დანიის მიწებთან ერთად. უკრაინის მიწებს კიდევ ერთი ღირსება აქვთ – ზამთრის ყინვების დროს მავნებელი მწერების უმრავლესობა ნადგურდება, რადგან 1 მეტრის სიღრმეზე მიწა იყინება და შესაბამისად დამუშავებისას ნაკლები ქიმიკატი სჭირდება. ამასთან, წყალუხვი მდინარეები აქვთ, სწორი რელიეფი და ირიგაცია უფრო ადვილია.

რაც მთავარია, უკრაინას ჰყავდა საოცრად ძლიერი ტექნიკური ინტელიგენცია, საინჟინრო კლასტერი, საკონსტრუქციო ბიუროები, იქ ბოლო დრომდე კოსმოსურ რაკეტებს, საავიაციო ძრავებს, ურთულეს ტექნოლოგიურ სისტემებს აპროექტებდნენ და ამზადებდნენ. 1990 წლისთვის უკრაინას მსოფლიოში სიდიდით მესამე ბირთვული არსენალი ჰქონდა. 1200-ზე მეტი ბირთვული რაკეტა, მათ შორის 176 საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტა და 44 სტრატეგიული ბომბდამშენი. ამაზე უარი დიდი ზეწოლის შემდეგ თქვა. სანაცვლოდ შერჩა „ბუდაპეშტის მემორანდუმი“, რომლითაც აშშ-ის, ბრიტანეთის, რუსეთის და საფრანგეთის გარანტიები მიიღეს სუვერენიტეტის და ტერიტორიული ხელშეუხებლობის შესახებ.

ახლა კი ვხედავთ, რომ „ბუდაპეშტის მემორანდუმი“ ფარატინა ქაღალდი აღმოჩნდა. დღევანდელი გადმოსახედიდან აშკარაა, უკრაინას რომ ბირთვული არსენალი დაეტოვებინა, უგატონოდ ხმას ვერავინ გასცემდა. ჩვენ მხოლოდ ბირთვული ტექნოლოგიის ცოდნა და მცხეთის საცდელი რეაქტორი დავთმეთ, უკრაინამ კი მსოფლიოში სიდიდით მესამე ბირთვული არსენალი. შედარებისთვის, ჩინეთს 400-მდე ბირთვული რაკეტა აქვს, რაც დღეს სიდიდით მესამე არსენალად ფასდება.

– რაც შეეხება დღეს მიმდინარე პროცესებს, რომელსაც უახლესი რამდენიმე თვეა ვაკვირდებით. როგორ ფიქრობთ, დღეს არსებობს თუ არა რუსეთის შეჭრის რეალური ალბათობა?

– უკრაინა საქართველოზე 9-ჯერ დიდია ტერიტორიით. 24 ოლქია, თითოეული ნახევარი საქართველოს სიდიდის. საოკუპაციო ხასიათის თავდასხმითი ომის დროს ორი სახის

ძალა არის საჭირო: დამრტყმელი დაჯგუფება და შემდეგ საოკუპაციო ჯარები. მარტივი გამოთვლებით, ასეთი ამოცანისთვის მინიმალური გათვლებით 500,000-იანი არმიაა საჭირო. რუსეთს კი უკრაინის საზღვრებთან ჰყავს 120 ათასი ჯარისკაცი. წმინდა სამხედრო თვალსაზრისით, როგორც ვხედავთ, ბალანსი არ ჯდება. დღეისთვის ეს ვითარებაა, მომავალში როგორ განვითარდება, არავინ იცის. თუმცა, შეჭრის ალბათობა მაინც არსებობს. ეს ალბათობა რეალისტურია ორ შემთხვევაში: 1. თუ რუსეთი და დასავლეთი შეთანხმებული არიან; 2. თუ უკრაინის მმართველი ელიტა და რუსეთი შეთანხმებული არიან.

– საერთაშორისო მედიაში უმწვავესი დაპირისპირება მიდის დასავლეთსა და რუსეთს შორის, ამ ფონზე როგორ შეიძლება შეთანხმება იყოს მათ შორის?

– საერთაშორისო მედიაში არის ის, რაც სურთ ელიტებს. ძალიან იშვიათად თუ რამე სხვა „გაიპარა“. ეს მასების მართვის ტექნოლოგიის ნაწილია: პროპაგანდა, ინფორმაციული პროგრამირება, პოლიტიკური დღის წესრიგის შექმნა, დისკურსის „სწორ“ კალაპოტში მოქცევა. პოლიტიკაში მოკავშირეები ხშირად თანხმდებიან საჯარო ოპონირებაზე, მაგრამ რეალურად კულისებს მიღმა საერთო ინტერესებზე შეთანხმება არსებობს. ამის მაგალითები ქართულ პოლიტიკაშიც უხვად არის.

ჩემი დაკვირვებით, ყველაზე მეტად ვინც აგინებს მტერს ან ოპონენტს, უმრავლეს შემთვევაში სწორედ ის არის ხოლმე მასთან კავშირში. ეს ძალიან ეფექტური, ძველი მეთოდია და ის მასებზე მუშაობს. უკრაინის თაობაზე ჩარჩო შეთანხმება არსებობს დასავლეთსა და რუსეთს შორის, 2014 წელს შედგა მოლაპარაკება ფინეთის კუნძულ ბოისტოზე და ჩამოყალიბდნენ, რომ უკრაინას მინსკის ფორმატს შესთავაზებდნენ, რაც მოხდა კიდეც. მინსკის შეთანხმება გულისხმობს კონსტიტუციურ სპეციალურ სტატუსს დონბასისთვის, დონბასი კი მოითხოვს ვეტოს უფლებას უკრაინის სამხედრო-პოლიტიკურ კავშირებში გაწევრიანებაზე.

– იმ შემთხვევაში თუ მინსკის შეთანხმება შესრულდა, რა სურათს ვიღებთ?

– თუ „მინსკი“ შესრულდა, უკრაინა კვლავ გახდება უბლოკო ქვეყანა, როგორიც იყო 2014 წლამდე, მხოლოდ უკვე ყირიმის და ძლიერი ინდუსტრიის გარეშე, შეზღუდული სუვერენიტეტით, რესურსებზე კონტროლი კი საერთაშორისო ფინანსურ ჯგუფებს ექნებათ, სავარაუდოდ, რუსებსაც განსაკუთრებით – მარცხენა სანაპიროზე. უკრაინაში თითებზეა ჩამოსათვლელი დასავლელი ინვესტორი, რომელიც დნეპრის მარცხენა სანაპიროზე ინვესტიციას დებს – ეს ფაქტი ბევრ რამეზე მიუთითებს.

დღეს ჩვენ ვხედავთ, რომ საერთაშორისო მედია გაიძახის რუსეთი უკრაინაში შეიჭრებაო, ეს დაიწყო „ვაშინგტონ პოსტის“ სტატიიდან, შემდეგ „პოლიტიკოში“ გამოქვეყნდა და შემდეგ მიჰყვა ყველა მეინსტრიმული გამოცემა, როგორც ორკესტრი ისე. ასეთ სცენარს უკრაინა ჯერჯერობით არ ეთანხმება და აცხადებს, რომ უკრაინული დაზვერვის მონაცემებით საფრთხე არ არის გაზრდილი მეტად, ვიდრე აქამდე იყო. ამიტომ, ისინი არ იზიარებენ დასავლეთის შფოთს „რუსეთის შეჭრაზე“. უკრაინას ყირიმში 22-ათასიანი ჯარი ჰყავდა, შესაძლოა არა საუკეთესოდ მომზადებული, მაგრამ მათ წინააღმდეგობის გაწევა შეეძლოთ და გაწევდნენ კიდეც, რომ მიეღოთ ბრძანება. ასეთი ბრძანება არ გაიცა დასავლეთის რჩევით. ამის შესახებ მოგვიანებით იმდროინდელმა პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა ალექსანდრე ტურჩინოვმა განაცხადა.

– რა გამოდის, დასავლეთი და რუსეთი შეთანხმებულები არიან?

– ბევრ საკითხში კი, ზოგშიც არა. რუსეთი ითხოვდა 2001 წელს ნატოში წევრობას, მას უარი უთხრეს. სხვათა შორის, 1949 წელს სტალინმა მიიღო ფრანგი დიპლომატი, რომელმაც განუცხადა, რომ ნატო არ არის მიმართული სსრკ-ის წინააღმდეგ, რაზეც სტალინმა უპასუხა: მაშინ იქნებ ჩვენც მიგვიღოთო. ამას დიპლომატის მდუმარება მოჰყვა. 1954 წელს კი ხრუშჩოვმა ოფიციალური განაცხადი შეატანინა სსრკ-ის ნატოში წევრობაზე. თუ პუტინის რუსეთი ნატოში შევიდოდა, ნატოს რეფორმირება გარდაუვალი იყო, ხოლო დასავლეთის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი უზარმაზარ შეკვეთებს დაკარგავდა. ეს კი ტრილიონიანი ბიზნესია ყოველ წელს. ევროპა სამხედრო ქარხნებისთვის საუკეთესო ბაზარია – გადახდისუნარიანი.

ევროკავშირის მშპ 17 ტრილიონი დოლარია, ნატოს წევრები ვალდებულები არიან ამ ციფრის 2% სამხედრო მიზნებისთვის დახარჯონ, ეს კი ყოველ წელს 340 მილიარდი დოლარია. ამ თანხის 20-30% ახალი შეიარაღების შესყიდვას ხმარდება ყოველწლიურად. 100 მილიარდი დოლარი ყოველ წელს სერიოზული თემაა, დამეთანხმებით. ახლა ამას დაუმატეთ პენტაგონის 700 მილიარდდოლარიანი ბიუჯეტის სამხედრო შესყიდვები და დიდი ბრიტანეთის 50 მილიარდი დოლარი. მოკლედ, ნატო შეიარაღების კარგი და ორგანიზებული მყიდველია.

სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი განსაკუთრებით ძლიერია აშშ-ში, საფრანგეთში, დიდ ბრიტანეთში. დააკვირდით გადამდგარი გენერლების, ანალიტიკოსების განცხადებებს, ეს პერსონაჟები რომელიღაც ანალიტიკურ ცენტრებში მუშაობენ და ამ ანალიტიკური ცენტრების დონორებს თუ ნახავთ, აუცილებლად აღმოაჩენთ წამყვან სამხედრო კერძო კომპანიებს. ეს რეალურად ლობისტური საქმიანობაა, რომელსაც ანალიტიკურ-პუბლიცისტური ხასიათი აქვს. რუსეთს შეურჩიეს მთავარი მეტოქის როლი.

– რა მოტივით, რას აძლევს დასავლეთს რუსეთისთვის მათავარი მეტოქის როლის შენარჩუნება?

– რადგან ასე უფრო ადვილია სამხედრო ხარჯების ლეგიტიმაცია, საერთო ჯამში, ეს ხომ ხალხის ფული იხარჯება, რომელიც, ადრე თუ გვიან, მოითხოვს ანგარიშს. რუსეთიც არ არის წინააღმდეგი ამგვარი როლის, რადგან ასეთი მეტოქეობა მას შიდა პოლიტიკური სიტუაციის გაკონტროლების უებარ საშუალებას აძლევს. თუ გვსურს სწორი ანალიზი გავაკეთოთ, უნდა მივყვეთ ფულს, ძალაუფლების შენარჩუნების და გაფართოების მოტივაციებს. დანარჩენი კი ლირიკაა მასებისთვის.

– შესაძლოა, ასეც იყოს, მაგრამ უამრავი სანქცია აქვს რუსეთს დაწესებული დასავლეთის მხრიდან, ეს როგორ ჯდება ამ ალგორითმში?

– დიახ, სანქციები აქვს დაახლოებით 300-მდე პირს, აუკრძალეს საბანკო ანგარიშების ქონა ამერიკაში, ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში. დაილოცოს ოფშორები! - ამბობენ სანქცირებული რუსები. ათასობით მდიდარი რუსი ცხოვრობს და ფლობს უზარმაზარ ქონებას ფლორიდაში, ლონდონში, მონაკოში, შვეიცარიაში, საფრანგეთში და სხვაგან. სანქციების რაობას რომ გადავხედოთ და მათი შედეგები გავაანალიზოთ, ბევრ საინტერესო რამეს აღმოვაჩენთ. სავაჭრო სანქციებს რაც შეეხება, მათი წყალობით რუსეთმა აღორძინა მეცხოველეობა, კვების მრეწველობა, მანქანათმშენებლობა და ბევრი სხვა რამ. ამ ყველაფერს ისინი სანქციებს უნდა უმადლოდნენ, რადგან ნორმალურ პირობებში, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წესების მიხედვით, მსგავს პროტექციონისტულ პოლიტიკაზე ვერც კი იოცნებებდნენ.

ჩვენ ხომ ვიცით, რომ ნავთობის ბიზნესი საერთაშორისო კარტელია, სადაც ფასს რამდენიმე ქვეყანა განსაზღვრავს. როდესაც დასჭირდათ ნავთობის ფასი ათწლეულების მანძილზე $20-ს არ აღემატებოდა. ამას ემატება გაზის თემაც. რუსეთს საკმაოდ კომფორტული საერთო ჩარჩო შეთანხმება აქვს მსოფლიო ძალის ცენტრებთან და დღეს კი რეალურად მიმდინარეობს რუსეთის ინდუსტრიალიზაცია, რომლის აფეშირება არ ხდება და ძალიან სწრაფი ციფროვიზაცია. რუსეთში სანქციების წყალობით, იმპორტჩანაცვლება და მასშტაბური ინდუსტრიალიზაცია მიდის - ეს რაღაცით მაგონებს აშშ-ისა და სტალინის თანამშრომლობას 30-იან წლებში, როცა 15,000 ამერიკელი ინჟინერი საბჭოთა ინდუსტრიას აშენებდა ფორდის ტექნოლოგიებით და დიდი კონსტრუქტორის ალბერ კანის ხელმძღვანელობით.

იმ დროს სსრკ-ში ბეისბოლის ჩემპიონატიც კი იმართებოდა ამერიკელ სპეციალისტებს შორის. საბოლოო ჯამში, მივიღებთ ინდუსტრიულად განვითარებულ რუსეთს მთელ რიგ დარგებში და ნაკლებად განვითარებულ მომხმარებელ ქვეყნებს მის პერიმეტრზე. მაგალითისთვის: დღეს საქართველო არის ევროპული, რუსული, ჩინური და თურქული პროდუქციის მომხმარებელი ქვეყანა. რუსეთის წილი ნელ-ნელა იზრდება. დღეს წარმოება არ არის რთული, არც ბევრი ფული უნდა საშუალო ზომის ქარხნის აშენებას. მთავარია გასაღების ბაზარი.

ჩვენ კარი ღია გვაქვს, ამას გვასწავლიან საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები და სწორედ ეს არის ჩვენი სიღარიბის მთავარი წყარო.

იხ. 4 გვ.

ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲒᲝᲒᲐᲕᲐ: ᲗᲣ ᲒᲕᲡᲣᲠᲡ ᲡᲬᲝᲠᲘ ᲐᲜᲐᲚᲘᲖᲘ, ᲣᲜᲓᲐ ᲛᲘᲕᲧᲕᲔᲗ ᲤᲣᲚᲡ...

(ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ) ყოველწლიურად $8 მილიარდი საქონელს ვყიდულობთ, ამ ფულით უცხო ქვეყნებში 400,000 სამუშაო ადგილს პირდაპირ ვქმნით, ხოლო ირიბად 2 მილიონს. ეს მაშინ, როდესაც მილიონი ადამიანი ჩვენთან უმუშევარია, მათგან 640,000 სოციალურ შემწეობას იღებს, ხოლო დანარჩენი დაბალკვალიფიციურ მუშახელად უცხო ქვეყნებში სარჩოს შოულობს. ამას ნეოკოლონიალიზმი ქვია. იგივე პროცესის წინაშეა უკრაინაც, სამწუხაროდ.

– თქვენ ახსენეთ, რომ შესაძლებელია რუსეთის და უკრაინელების შეთანხმებაც იყოს სამხედრო შეჭრის თაობაზე. ანუ, 2008 წლის ვარიანტის უკრაინულ სცენარს ვაკვირდებით?

– დიახ, სავსებით შესაძლებელია ასეც იყოს. დაახლოებით ასე მოხდა ჩვენთან 2008 წელს. ის რასაც დღეს „მცირე შეჭრას“ ეძახიან, ზუსტად ეს იყო აგვისტოს ომი, როდესაც საკაშვილმა ჩააბარა რუსებს ჩვენი ტერიტორიები, თან ისე რომ წინასწარ „გამართა“ სამართლებრივად რუსეთის სასარგებლოდ კოდორის და ახალგორის მდგომარეობა და ქვეყანას დაუკარგა შანსი მეტი უსაფრთხოების მიღებისა უახლოეს მომავალში. უკრაინელების მოტივაცია ცოტა სხვაგვარი შეიძლება იყოს. ძალიან დიდია პრესინგი და გარე მართვა მათზე. აღმასურლებელი ხელისუფლების კონტროლის მექანიზმები, ანტიკორუფციული სტრუქტურები, სახელმწიფო კორპორაციები, ბუნებრივი რესურსების განკარგვა... ყველგან უცხოელების კონტროლია საკუთარი პროქსების თუ სუროგატების მეშვეობით.

სასამართლო ჩვენ არ დავომეთ, თუმცა „მიშელის შეთანხმება“ სწორედ ამას ითვალისწინებდა, იმათთან კი კანონი მიიღეს, რომ უცხოელები შეარჩევენ მოსამართლეებს, მაგრამ საკონსტიტუციომ გაჭედა საკითხი. ოლიგარქები გრძნობენ, რომ ისინი ჩასარეცხად არიან გამზადებულნი, მათ შორის მთავარი ოლიგარქი კოლომოისკიც ანკესზე ჰყავთ, მასზე საქმეებია აღძრული ამერიკაში. დაუყადაღეს ორი მეტალურგიული ქარხანა და ორი ცათამბჯენი კლივლენდში. ფირტაში ისევ შინა პატიმრობაშია ავსტრიაში, ახმეტოვი უკვე ისე ვეღარ ჩარხავს საქმეებს. ერთადერთი კუჩმას ოჯახი ანუ პინჩუკია მეტ-ნაკლებად ნორმალურ მდგომარეობაში, მაგრამ ის ამისთვის დიდი რესურსს ხარჯავს გლობალისტურ პროექტებში. ამ სიტუაციაში არ გამოვრიცხავ, რომ უკრაინის ელიტას სერიოზული ცვლილებები აწყობდეს და რუსულ ინტერვენციაში გამოსავალი დაინახონ. ვნახოთ, გამოჩნდება მალე.

– როგორ ფიქრობთ, საქართველოზე როგორ აისახება მოვლენების ესკალაცია უკრაინაში?

– უარყოფითად. შეიძლება ჩვენ გვინდოდეს ევროპა, კარგი ცხოვრება და ასე შემდეგ, მაგრამ რეალობას თვალი უნდა გავუსწოროთ. ჩვენ ამ რეგიონის ნაწილი ვართ და რეგიონისგან განცალკევებით ვერ მოხდება ჩვენი განვითარება. ამიტომ რაც ხდება ჩვენს რეგიონში, ჩვენზე აქვს პირდაპირი გავლენა, თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რომ 500,000 ქართველი რუსეთში ცხოვრობს და 200,000-მდე – უკრაინაში. 2014 წელს უკრაინაში სამხედრო მოქმედებების გამო საქართველომ ეკონომიკის 20% ანუ 3 მილიარდ დოლარზე მეტი დაკარგა და ამის აღდგენა მხოლოდ 2018 წლისთვის მოხერხდა.

როგორიც არ უნდა იყოს კულისებს მიღმა ელიტების კომბინაციები, საქართველომ თავისი პოზიცია საკმაოდ მკაფიოდ გამოხატა, რომ ის მხარს უჭერს უკრაინის ტერიტორიულ მთლიანობას. პირველმა პირებმა გააკეთეს მხარდამჭერი განცხადებები. ზოგიერთი ე.წ. ოპოზიციონერი უფრო მეტ რადიკალიზმს ითხოვს, რაც რეალურად საფრთხის შემცველია ქვეყნისთვის. ეს არ ემსახურება საქართველოს ინტერესებს, ასეთი რადიკალიზმის მენეფიციარი ის უცხოური ინტერესთა ჯგუფებია, ვინც სამხედრო ინდუსტრიას ლობირებენ. ნებისმიერი დაძაბულობა მათთვის ახალი შეკვეთების წყაროა.

ეს ჩვენი „ოპოზიციონერები“ მათ ყურადღების ცენტრში ყოფნას ლამობენ, აი, მე როგორ ეფექტურად ვძაბავ, თქვენთვის უფრო საჭირო ვარ, ხელისუფლებაში რომ ვიყო, ხომ უფრო მეტად დავძაბავდიო – დაახლოებით ეს არის მათი ქცევის მოტივაცია და ლოგიკა. მათ ადგილზე მოსახლეობაში მხარდაჭერა არ აქვთ და ლეგიტიმაციას უცხოეთში გავლენიან ჯგუფებს შორის ეძებენ. მერე რა, რომ ქვეყანა შეიძლება აგრესიის ობიექტი გახდეს, თავად ხომ უკვე იციან „წითელი ხიდის“ გზა ზეპირად. ჩვენ რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, უნდა შევინარჩუნოთ მშვიდობა. დამოუკიდებლობის მიღებიდან საქართველოს არ ქონია გადაბმული 10 მშვიდობიანი წელი ერთი ხელისუფლების პირობებში.

– თუმცა, ხელისუფლების ოპონენტები ამბობენ, რომ საქართველო დაშორდა დასავლეთს, რადგან ხელისუფლება არის პრორუსული...

– ხშირად ვიღაცები ამბობენ, რომ საქართველო მსოფლიო პოლიტიკის რადარებიდან გაქრა. მე მათ ვეკითხები: როცა ვიყავით რადარებზე, მაშინ რა ხეირი? სულ სახელებით ვასწავლეთ მსოფლიოს აფხაზეთის და ცხინვალის სოფლები, სამხედრო ქრონიკები, დაძაბულობები, დევნილები, მსხვერპლი და უბედურება – ასეთი ყოფნა რადარებზე ნამდვილად არ მინდა! ფინეთის, ლუქსემბურგის, ავსტრიის, ჩერნოგორიის, ხორვატიის, სამხრეთ კორეის, კოსტა რიკის, ურუგვაის ახალი ამბები ხშირად გვესმის? – არა, იმიტომ რომ ისინი ქვეყანას წყნარად აშენებენ, საერთაშორისო ავანტიურებში არ ერთვებიან და ურჩევნიათ, მშვიდობა შეინარჩუნონ.

მშვიდობას აქვს ერთი კარგი თვისება, რაც არ უნდა ცუდი ხელისუფლება იყოს, რაც არ უნდა კოლონია იყო, რაც არ უნდა ჭირდეს ცხოვრება, ქვეყანაში მაინც გროვდება დოვლათი და საერთო ჯამში ქვეყანა წინ მიდის და ამას ხალხი თავად აკეთებს. მიმაჩნია, რომ დღეს ივანიშვილს ამ თვალსაზრისით აქვს ერთადერთი სწორი მიმართულება. რას დავარქმევთ ამას მნიშვნელობა არ აქვს: სტრატეგიული თმენას თუ ლავირების ტაქტიკას. მთავარია, ეს მიდგომა უზრუნველყოფს მშვიდობას. ეს კი ამ რეალობაში, ამ რეგიონში, ამ მეზობლებში ურთულესი ამოცანაა. ვფიქრობ, რომ მან გაშიფრა, თუ როგორ მუშაობს საერთაშორისო სისტემა და ისე ალაგებს ურთიერთობებს, რომ საქართველოს არ აყენებინებს ჩვენთვის სახიფათო თამაშებში!..

თუმცა ეს ყველაფერი მყიფე და გასაფრთხილებელია, საჭიროა შემდგომ ეტაპზე ასვლა, რასაც საერთაშორისო ურთიერთობების თეორიაში სტრატეგიულ გალანს უწოდებენ. მართალია, ჩვენ მეტი გვსურს და დღესვე, მაგრამ როგორც საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტი, ვადიარებ, რომ ქართული პარტია ოსტატურად თამაშდება, ზედმეტი ხისტი მოძრაობების და დამაზიანებელი სიჩქარის გარეშე. ვფიქრობ, რომ ივანიშვილის ეს მიღწევა დასაფასებელია. საქართველოს შეუძლია მისაღები პარტნიორი იყოს დასავლეთისთვისაც, ჰქონდეს პრაგმატული დიალოგი მეზობელ ქვეყნებთან და მომგებიანი ეკონომიკური ურთიერთობები აზიურ ცენტრებთანაც. ჩვენ პროცესული აზროვნება უნდა ვისწავლოთ და არა მხოლოდ აწმყოთი აზროვნება.

სახელმწიფო საერთო საქმეა და ამიტომ პროცესული აზროვნება ყველას გვმართებს.

ესაუბრა
თამთა ქარჩავა

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲪᲣᲪᲥᲘᲠᲘᲫᲔ: ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲛᲘᲡᲬᲠᲐᲤᲔᲑᲐᲛ ᲒᲐᲕᲚᲔᲜᲘᲡ ᲡᲤᲔᲠᲝᲡ ᲐᲦᲓᲒᲔᲜᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ ᲡᲠᲣᲚᲘ ᲙᲠᲐᲮᲘ ᲒᲐᲜᲘᲪᲐᲓᲐ

...ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ულტიმატუმი, რომლის ერთ-ერთი მიზანიც არსებულ უკვე ფაქტობრივად ბიპოლარულ გეოპოლიტიკურ სივრცეში აშშ-ისა და ჩინეთის შემდეგ, მესამე ცენტრად ქცეულიყო, სრული კრახით დასრულდა. შემთხვევით არ იყო, რომ რუსული ულტიმატუმი სწორედ გავლენის სფეროების დაკანონებას მოითხოვდა, პოსტსაბჭოთა სივრცით, რაზეც, ბუნებრივია, დასავლეთი ვერ წავიდოდა და არც წავიდა.

არანაკლებ საინტერესო განცხადება გაკეთდა პეკინში, ოლიმპიადაზე პუტინის ვიზიტისას, მისი და სი ძინპინის ერთობლივ განცხადებაში პირდაპირ იყო ხაზგასმული, რომ რუსეთი და ჩინეთი ეწინააღმდეგებიან ნატოს შემდგომ გაფართოებას. ამ განცხადებითაც დადასტურდა თვალსაზრისი, რომ რუსული შანტაჟის უკან ჩინეთი იდგა, რაც თავის დროზე ჩვენც გამოვთქვით.

მართალია, დასავლეთის პოლიტიკურ წრეებში კვლავ არსებობს შიში რუსეთის მხრიდან უკრაინაში შეჭრის ალბათობაზე, თუმცა ვფიქრობ, ომის საფრთხე აღარ არსებობს. რუსეთს ეს კუნთების თამაში ბუნებრივად შემოუბრუნდა. მარტო აშშ-ის მხრიდან უკრაინამ უკვე მიიღო სოლიდური სამხედრო დახმარება, რაც დღემდე გრძელდება. ამას დაემატა არანაკლები მნიშვნელობის პოლიტიკური აქტიც ბრიტანეთის, პოლონეთის და უკრაინის კავშირის შექმნაზე, რაც ბრიტანეთის პრემიერის მიერ, უკვე ოფიციალურად გაჟღერდა. ნიშანდობლივია, რომ პრემიერ ჯონსონის მიერ, ამ გაერთიანების კონტექსტში, რაც შავი ზღვის და ატლანტიდის ოკეანის საზღვაო აკვატორიასაც მოიცავს, საქართველოზე და მოლდოვაზეც გამახვილდა ყურადღება. პოლონეთის პრეზიდენტის სასწრაფო ვიზიტიც ამ ახალი რეალობის მოცემულობადაც უნდა მივიჩნიოთ.

ამ ტიპის სამხედრო, ფინანსური და პოლიტიკური მხარდაჭერის პირობებში, რასაც ემატება თავად უკრაინელების საბრძოლო სულისკვეთება, არათუ უახლოეს მომავალში, რუსეთს დღესაც სერიოზული სამხედრო დანაკარგი და ადამიანური მსხვერპლი ექნება უკრაინაში შესაძლო ინტერვენციისას.

სამხედრო უპირატესობის თვალსაზრისით რუსეთს დასავლეთთან არანაირი შანსი არა აქვს.

ᲗᲕᲐᲚᲡᲐᲩᲘᲜᲝᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ: რუსეთს მეხუთე თაობის მხოლოდ 3 თვითმფრინავი მიგ-57 ჰყავს, მის მოკავშირე ჩინეთს 150 თვითმფრინავი, მაშინ, როცა მარტო აშშ-ის საჰაერო ძალები ითვლიან 1740 F-35-ს), და 322 F-22-ს.

საზღვაო ძალების თვალსაზრისით ეს უპირატესობა კიდევ უფრო ცხადი ხდება. რუსეთს მხოლოდ 1 ავიამზიდი „ადმირალი კუზნეცოვი“ ჰყავს, ისიც მოძველებული ტექნოლოგიებით, ჩინელებს – 3 ავიამზიდი; ამ დროს 3 ულტრათანამედროვე ავიამზიდი ინგლისსაც ჰყავს, ხოლო აშშ-ს 10 სულ ბოლო მოდელის ავიამზიდი, სადაც თითოეული 70-80 თვითმფრინავს ატარებს.

აშშ-ის სამხედრო ბიუჯეტი 760 მილიარდი დოლარია, რაც მნიშვნელოვნად ალემატება არა თუ რუსეთის 60-მილიარდიან ბიუჯეტს, არამედ ჩინეთისასაც, რომელიც 400 მილიარდამდეა.

ჩინეთის ერთი სარტყელი ერთი გზის ინიციატივა (BRI), როგორც ჩინეთის ექსპანსიის გეოპოლიტიკურ ალტერნატივას და ჩინეთის ახალი აბრეშუმის გზის საპირწონედ ლონდონი ვაშინგტონთან ერთად ახორციელებს ორ ახალ გეოპოლიტიკურ ღერძს: AUKUS-ს (ავსტრალია, გაერთიანებული სამეფო და აშშ), QUAD-ს (აშშ, იაპონია, ავსტრალია და ინდოეთი) და რამდენიმე პოტენციური მოკავშირე – სამხრეთ კორეასა და ფილიპინებს საერთო ეკონომიკური და უსაფრთხოების სისტემებით. ამას ემატება სწორედ პოლონეთი-უკრაინა-ბრიტანეთის კონტინენტური ევროპის ნაწილი და თურქეთი, რომელიც თავის დროზე, გასული საუკუნის 20-იან წლებში, სწორედ ლონდონის ძალისხმევით გადაურჩა დაშლას. რეალურად, თუ ამ ქვეყნების ეკონომიკებს გავაერთიანებთ, ინდოეთის მზარდი ზრდის პოტენციალით, მივიღებთ უმსხვილეს გეოპოლიტიკურ რუკას. მარტო დღევანდელი მონაცემებით, ამ გაერთიანების მთლიანი მშპ არის 40 ტრილიონი დოლარი, კიდევ უფრო მეტად ზრდის პოტენციალით.

ეს არის მსოფლიოს წამყვან 20 ეკონომიკაში, პირველი, მესამე, მეხუთე და მეექვსე ეკონომიკები. აშშ (GDP: 22.94 ტრილიონი დოლარი), იაპონია: (GDP: 5.10 ტრილიონი დოლარი), დიდი ბრიტანეთი (GDP: 3.11 ტრილიონი დოლარი), ინდოეთი: (GDP: 2.95 ტრილიონი დოლარი), დამატებული მე-13 ეკონომიკა ავსტრალია (GDP: 1.61 ტრილიონი დოლარი), სამხრეთ კორეა მე-10 ეკონომიკა (GDP: 1.82 ტრილიონი დოლარი), ფილიპინები 0.377 ტრილიონი, თურქეთის მე-20 ეკონომიკა GDP: 0.850 ტრილიონი დოლარი), და 23 ეკონომიკა პოლონეთი (GDP: 0.65 ტრილიონი დოლარი), სულ 39 ტრილიონი, რაც მსოფლიო ეკონომიკის 40 პროცენტია.

ამის საპირწონედ, ჩინეთი (GDP: 16.6 ტრილიონი) და რუსეთი (GDP: 1.7 ტრილიონი დოლარი), ბელარუსით და მაქსიმუმ შუა აზიის რესპუბლიკებით.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი, ეს არის ჩინეთის მუქარა დასავლეთისადმი, რომ ის იძულებული შეიძლება გახდეს ტაივანის საკითხი სამხედრო გზით გადაწყვიტოს, რაც დიდი ალბათობით რუსული შანტაჟის მაპროვოცირებელი ფაქტორიც გახლავთ. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ პრეზიდენტმა ბაიდენმა სი ძინპინს ნათლად მიანიშნა, რომ ტაივანის წინააღმდეგ ძალის გამოყენების შემთხვევაში, ჩინეთი დაუპირისპირდება არა მარტო აშშ-ს, არამედ უფრო ფართო ალიანსს: AUKUS-ს და QUAD-ს სახით, რამდენიმე პოტენციურ მოკავშირესთან – სამხრეთ კორეასა და ფილიპინებთან ერთად.

ᲩᲕᲔᲜ ᲕᲓᲒᲐᲕᲐᲠᲗ ᲐᲮᲐᲚ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚ ᲒᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲖᲔ, ᲬᲘᲜ ᲛᲔᲢᲐᲓ ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲐᲗᲬᲚᲔᲣᲚᲘ ᲒᲕᲔᲚᲝᲓᲔᲑᲐ, ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲘᲛᲞᲔᲠᲘᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐᲣᲕᲐᲚ ᲠᲚᲕᲔᲕᲐᲡᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ, ᲡᲔᲠᲘᲝᲖᲣᲚᲘ ᲨᲐᲜᲡᲘ ᲒᲕᲘᲩᲜᲓᲔᲑᲐ ᲐᲠᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲛᲗᲚᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲐᲦᲓᲒᲔᲜᲘᲡ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲣᲠᲘ ᲪᲘᲕᲘᲚᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲜᲐᲬᲘᲚᲐᲓ ᲫᲪᲔᲕᲘᲡᲐᲪ. ᲩᲕᲔᲜᲘ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲐᲠᲩᲔᲕᲐᲜᲘᲪ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲫᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜᲝᲑᲐ ᲕᲐᲫᲪᲘᲔᲗ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲠᲔᲚᲘᲒᲘᲐᲓ, ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲣᲙᲐᲕᲨᲘᲠᲓᲔᲑᲝᲓᲐ, ᲯᲔᲠ ᲑᲘᲖᲐᲜᲗᲘᲡᲐ, ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲘᲛ ᲓᲠᲝᲡ ᲔᲕᲠᲝ�პᲐᲨᲘ ᲤᲐᲜᲯᲐᲠᲐᲓ ᲒᲐᲜᲘᲮᲘᲚᲔᲑᲝᲓᲐ, ᲓᲦᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲒᲐᲜᲡᲮᲕᲐᲕᲔᲑᲘᲗ“...

თუ პუტინის სიტყვას დაეჯერება...

ემანუელ მაკრონთან შეხვედრის დროს ვლადიმერ პუტინმა პირობა დადო, რომ ახალ სამხედრო ინიციატივებს არ განახორციელებს და დაგეგმილი წვრთნების დასრულების შემდეგ, ბელარუსიდან რუს სამხედროებს გაიყვანს.

გაზეთი The Financial Times-ი აღნიშნავს, რომ თუ ამ შეთანხმებას პუტინი დაადასტურებს, ამან რეგიონში დაძაბულობა შეიძლება განმუხტოს მას შემდეგ, რაც

რუსეთმა უკრაინის საზღვრებთან 100 000-ზე მეტი ჯარისკაცი შეაგროვა. ფრანგი ოფიციალური პირების თქმით, მხარეებმა შეთანხმებას მიაღწიეს ახალი სამხედრო ინიციატივების არგანხორციელებასა და რუსული ჯარების განლაგების შესახებ ფართო დიალოგზე.

რუსეთის პრეზიდენტთან შეხვედრის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე ემანუელ მაკრონმა აღნიშნა, რომ საჭიროა უსაფრთხოების კონკრეტული გარანტიების შექმნა რეგიონის ყველა სახელმწიფოსთვის, მათ შორის რუსეთის, უკრაინისა და ევროკავშირის წევრებისთვის, რათა ევროპაში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის ახალი წესრიგი შეიქმნას.

ჩვენზე ფიქრში დაღლილი მაკრონი

მე ვფიქრობ უკრაინაზე, მე ვფიქრობ საქართველოზე, მე ვფიქრობ მოლდოვაზე – ამ სახელმწიფოების დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი სრულად უნდა იყოს დაცული, – განაცხადა საფრანგეთის პრეზიდენტმა, ემანუელ მაკრონმა რუსეთის პრეზიდენტთან გამართულ ერთობლივ პრესკონფერენციაზე. ემანუელ მაკრონის თქმით, რუსეთი და ევროკავშირი სიტუაციის სტაბილიზაციისა და დეესკალაციის კონკრეტულ ზომებზე უნდა შეთანხმდნენ.

„ესკალაცია არავის ინტერესში არ შედის. არც რუსეთს და არც ევროპელებს ქაოსი და არასტაბილურობა არ სურთ. ამიტომაც უნდა შევთანხმდეთ კონკრეტულ ზომებზე, რათა სიტუაციის სტაბილიზირება და დეესკალაციისკენ გადასვლა მოხდეს“, – განაცხადა ემანუელ მაკრონმა. საფრანგეთის პრეზიდენტმა ასევე აღნიშნა, რომ უკრაინის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით, მომდევნო დღეები გადამწყვეტი იქნება, რაც ინტენსიურ დისკუსიებს მოითხოვს.

ითმინე, ჩემო ლამაზო!!!

„რაც შეეხება მინსკის შეთანხმებას, ცოცხალია თუ არა და აქვს თუ არა რაიმე პერსპექტივა. მიმაჩნია, რომ სხვა ალტერნატივა უბრალოდ არაა. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, კიევში ხან ამბობენ, რომ დაიცავენ, ხან ამბობენ, რომ ეს ქვეყანას დაანგრევს. მოქმედმა პრეზიდენტმა არცთუ ისე დიდი ხნის წინ განაცხადა, რომ მინსკის შეთანხმების არც ერთი პუნქტი არ მოსწონს. „მოგწონს, არ მოგწონს – ითმინე, ჩემო ლამაზო“. უნდა შესრულდეს. სხვანაირად არ გამოვა“, – ამის შესახებ რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა პრესკონფერენციაზე განაცხადა.

ბელორუსი რჩება საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტური პრინციპების ერთგული!

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში მინსკის მიერ სოხუმისა და ცხინვალის შესაძლო აღიარების საკითხს ეხმიანებიან და აცხადებენ, რომ **„ბელორუსი რჩება საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტური პრინციპების ერთგული“.**

„ბელორუსსა და საქართველოს შორის არსებული ორმხრივი ურთიერთობების გათვალისწინებით, საქართველოს ტერიტორიების – აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ე.წ. დამოუკიდებლობის აღიარების საკითხი დღის წესრიგში არ დგას და ბელორუსი ამ მხრივ რჩება საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტური პრინციპების ერთგული. რაც შეეხება ბელარუსის რესპუბლიკის პრეზიდენტის ინტერვიუს რუსულ ტელეარხთან, მისი ინტერვიუდან ცალკეული ამონარიდები, როგორც ყოველთვის ამჯერადაც მიზანმიმართული აქცენტებით არის ინტერპრეტირებული რუსული მედიის მხრიდან და ისე მოწოდებული საზოგადოებისთვის“, – განუცხადა „აქცენტს“ საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესსპიკერმა მარი ნარჩემაშვილმა.

ალექსანდრე ლუკაშენკო, რომელსაც დასავლეთი ბელარუსის არჩეულ პრეზიდენტად არ სცნობს, რუსეთის მიერ ოკუპირებული ქართული ტერიტორიების – აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის „დამოუკიდებლობის“ აღიარებას არ გამორიცხავს.

„(ამას გავაკეთებ – რედ.) როგორც კი მივხვდები და პრეზიდენტი (რუსეთის – რედ.) მეტყვის, რომ ამის აუცილებლობა არსებობს“, – განაცხადა ლუკაშენკომ YouTube-არხ „Соловьев Live“-თან ინტერვიუში.

ამასთან, TACC-ის ინფორმაციით, ლუკაშენკომ იქვე დასვა კითხვა, **„არის კი ამაში რაიმე სასიცოცხლო აუცილებლობა?“.**

რაც შეეხება რუსეთის მიერ ანექსირებულ ყირიმთან მიმართებაში ადრე გამოხატულ პოზიციას, რომლის თანახმად, იგი ყირიმს რუსეთის ნაწილად „მას შემდეგ სცნობს, რაც უკანასკნელი რუსი ოლიგარქიც კი აღიარებს ყირიმს და იქ თავისი პროდუქციის მიწოდებას დაიწყებს“, ამჯერად ლუკაშენკომ დააზუსტა, რომ მაშინ მან მიმართა „არა მარტო ოლიგარქებს, არამედ ზოგიერთ სხვებსაც, თავის მოქალაქეებს, რათა დაკავდნენ ფულის არაკეთილსინდისიერად მომპოვებლებით და რუსეთის სახელმწიფოებრიობის კალაპოტში მაინც იმოქმედონ, რაკი აღიარეს ეს ყირიმი“. **„მათ ყირიმთან შეხებაც კი აშინებთ“,** – დასძინა ლუკაშენკომ.

◎ ხუთი რგოლი

ძალებს იკრებს

უკვე გაუწყეთ, რომ პეკინის თეთრი ოლიმპიადის სტარტზე შესანიშნავად ისრიალა საქართველოს ფიგურისტთა ნაკრებმა, რომელსაც მოკლე პროგრამის ჩინებულად შესრულების შემდეგ ფინალურ ხუთეულში მოსახვედრად დამატებითი მაჩვენებლებით ორიოდე ქულა დააკლდა და საბოლოოდ საპატიო მეექვსე ადგილი დაიკავა.

ფორუმის კალენდრის თანახმად, „ჯვაროსანთაგან“ შემდეგ 21 წლის მოციგავე **საბა ქუმარიტაშვილმა** იასპარეზა და სამი დაშვების ჯამში 34 მონაწილეს შორის 31-ე ადგილი დაიკავა.

აღნიშნულ დისციპლინაში საპრიზო სამეულში ადგილები ასე განაწილდა: იოჰანეს ლუდვიგი (გერმანია), ვოლფგანგ ქინდლი (ავსტრია), დომინიკ ფიშნალერი (იტალია).

სენსაციურად განვითარდა მოვლენები ქალთა გიგანტურ სლალომში, სადაც პირველ ცდაზე ფინიშამდე ვერ მიაღწია ლეგენდარულმა ამერიკელმა მოთხილამურემ მიქაელა შიფრინმა და, ბუნებრივია, მედლებისთვის ბრძოლას გამოეთიშა. ჩვენი დელეგაციის ერთ-ერთმა მედროშემ **ნინო წიკლაურმა** 34-ე ადგილი დაიკავა, რაც ოთხი ოლიმპიადის მონაწილის კარიერაში საუკეთესო შედეგია.

დანარჩენ სახეობებში ჩემპიონები გახდნენ: **ციგურებით რბენა** – ირენ შოუტენი (ნიდერლანდები), ნილს ვან დერ პოელი (შვედეთი); **ბიატლონი** – ნორვეგია; **ფრისტაილი** – ვალტერ ვალბერგი (შვედეთი); **შორტ-ტრეკი** – ჩინეთი; **ტრამპლინიდან ხტომა** – ურსა ბოგატაი (სლოვენია), რიოიუ კობაიაში (იაპონია); **თხილამურებით რბენა** – ტერეზა იოჰაუგი (ნორვეგია), ალექსანდრ ბოლშუნოვი (რუსეთის ოლიმპიური კომიტეტი); **სნოუბორდი** – ზოი სადოვსკი – სინოტი (იგი ახალი ზელანდიიდან ისტორიაში პირველი ოლიმპიური ჩემპიონი გახდა); **ფრისტაილი** – ჯაკარა ენტონი (ავსტრალია); **გიგანტური სლალომი** – სარა ჰექტორი (შვედეთი).

გუშინ ფიგურისტთა ინდივიდუალური ტურნირის მოკლე პროგრამით შესანიშნავად ისრიალა **მორის ყვითელაშვილმა,** რომელმაც 97,98 ქულით მე-5 ადგილი დაიკავა და თავისუფალი პროგრამით მედალს შეუტევს(!).

პეკინის ოლიმპიადის პირველი მინი-სკანდალი ქალ ჰოკეისტთა ტურნირზე აღირიცხა, სადაც კანადისა და რუსეთის ოლიმპიური კომიტეტის გუნდების შეხვედრა ერთი საათის დაგვიანებით დაიწყო და ჰოკეის სამშობლოს ქვეშევრდომთა გამარჯვებით დასრულდა – 6:1.

რაც შეეხება მატჩის ჩაშლის საფრთხეს, იგი ერთ-ერთი მეტოქე მოთამაშისთვის კორონავირუსის დადასტურებას უკავშირდებოდა.

მოკლედ

ჭადრაკი. საქართველოს ვაჟთა 81-ე ჩემპიონატი (მთავარი მსაჯი – საერთაშორისო არბიტრი **მარგალიტა თანდაშვილი**, საპრიზო ფონდი – 25 000 ლარი). საპრიზო სამეული – **ლევან ფანცულაია** (ეს მისი მეოთხე ტიტულია), **მერაბ გაგუნაშვილი, ნოე თუთისანი.**

ძიუდო. პარიზის გრანდ სლემი. **„ვერცხლი“** – ტატო გრიგალაშვილი (81). სულ ფრანგულ ტატამზე ექვსმა ქართველმა ფალავანმა 4 მედალი მოიპოვა: **„ოქრო“** – ლაშა შავდათუაშვილი (73). **„ბრინჯაო“** – ჯაბა პაპინაშვილი (60), ვაჟა მარგველაშვილი (66).

კალათბურთი. ნბა-ს ყველა ვარსკვლავის მატჩის სათადარიგოები (20 თებერვალი, კლივლენდი). **აღმოსავლეთი კონფერენცია** – გარლანდი („კლივლენდი“), ბატლერი („მაიამი“), ჰარდენი („ბრუკლინი“), ლავინი („ჩიკაგო“), მიდლტონი („მილუოკი“), ტეიტუმი („ბოსტონი“), ვანვლიტი („ტორონტო“).

დასავლეთი კონფერენცია პოლი („ფინიქსი“), დონჩიჩი („დალასი“), ბუკერი („ფინიქსი“), მიტჩელი („იუტა“), გრინი („გოლდენ სტეიტი“), თაუნსი („მინესოტა“), გობერი („იუტა“).

ფეხბურთი. იტალია. „ინტერი“ – „მილანი“ 1:2, „იუვენტუსი“ – „ვერონა“ 2:0, „ვენეცია“ – „ნაპოლი“ 0:2.

ესპანეთი. „ბარსელონა“ – „ატლეტიკო“ 4:2, „ოსასუნა“ – „სევილია“ 0:0, „რეალი“ – „გრანადა“ 1:0.

გერმანია. „ბაიერნი“ – „ლაიფციგი“ 3:2, „დორტმუნდი“ – „ლევერკუზენი“ 2:5.

საფრანგეთი. „ლილი“ – „პსჟ“ 1:5.

აფრიკის ერაოვნებათა თასი. ფინალი. სენეგალი – ეგვიპტე 4:2 (პენალტებით, ძირითადი და დამატებითი დრო – 0:0). ეს სენეგალელთა პირველი ტრიუმფია.

ფუტსალი. ევროპის ჩემპიონატი. **ფინალი.** პორტუგალია – რუსეთი 4:2 (მსოფლიოს მოქმედი გვირგვინოსანი ზედიზედ მეორედ გახდა კონტინენტის ჩემპიონი. **მატჩი მესამე ადგილისთვის.** ესპანეთი – უკრაინა 4:1.

ზაალ გიგინეიშვილი



იგი იმ ავბედით 90-იანებში გავიცანი და მაშინვე გამაოცა უკიდეგანო, თამამად შეიძლება ითქვას – ენციკლოპედიური განათლებით. დარწმუნებული ვარ, მრავალ დარგში იტყოდა ომახიან სიტყვას, მაგრამ სამოღვაწეო ასპარეზად სპორტული ჟურნალისტიკა აირჩია და გაამდიდრა კიდეც, უპირატესად – რაგბის სამყარო.

ფართო დიაპაზონის კოლეგა კალმოსანიც გახლდათ, კომენტატორიც, ექსპერტიცა და მკვლევარიც, მაგრამ უპირველესად – გულისხმიერი ადამიანი, თხემით ტერფამდე პროფესიონალი, რომელიც თუნდაც წვრილმანი ინფორმაციის მოსაპოვებლად, რომ იტყვიან, ქვას გახეთქავდა და გულშემატკივარს უანგაროდ მიაწვდიდა. ეს ხომ ძველ ლეგენდათა სადარბაზო ბარათია. ზაალ გიგინეიშვილი, უპირველესად, მის სათაყვანო სამშობლოს დააკლდა. მშვიდობით, მეგობარო!

„სრ“ სპორტის რედაქცია

„ჰაიდელბერგცემენტი“ რუსთავს ვერ მოწამლავს...

ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ კანონის აღსრულებისა და რუსთავში ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, ქალაქში მოქმედი საწარმოების მონიტორინგის კამპანიის ფარგლებში, მორიგი შეხვედრა „ჰაიდელბერგცემენტის“ რუსთავის ქარხანაში გაიმართა.

რუსთავის მერიის ინფორმაციით, „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ წარმომადგენლებმა, რუსთავის მერს ნინო ლაცაბიძეს, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე ნინო თანდილაშვილს, ქვემო ქართლის გუბერნატორ გიორგი დოხტურიშვილსა და საქართველოს ბიზნესასოციაციის პრეზიდენტს ლევან ვეფხვაძეს დეტალური ინფორმაცია მიაწოდეს, თუ რა კეთდება კანონში შეტანილი ცვლილებების აღსრულების კუთხით.

„ჩვენ ვაგრძელებთ საწარმოებში არსებული მდგომარეობის ადგილზე გაცნობას, დღეს „ჰაიდელბერგცემენტში“ ვიმყოფებით.

აუცილებლად ყველა საწარმოში შევალთ, რადგან რუსთაველების მოთხოვნაა, რომ რაც შეიძლება სწრაფად უნდა მოხდეს ქალაქში ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაუმჯობესება. „ჰაიდელბერგცემენტს“ ნამდვილად აქვს ინვესტიციები განხორციელებული იმ კუთხით, რომ უკვე დამონტაჟებულია ფილტრაციის სისტემა, უახლოეს მომავალში აქ იქნება დეტექტორები, რომლითაც ონლაინ, უწყვეტ რეჟიმში ვნახავთ რეალურ მდგომარეობას“, – განაცხადა ჟურნალისტებთან რუსთავის მერმა ნინო ლაცაბიძემ. საქართველოს ბიზნესასოციაციის პრეზიდენტის ლევან ვეფხვაძის განცხადებით, „ჰაიდელბერგცემენტი“ დიდი პასუხისმგებლობით ეკიდება გარემოზე ზემოქმედების შემცირების საკითხს.

როგორც „ჰაიდელბერგცემენტში“ აცხადებენ, ღუმელებისა და ცემენტის წისქვილების მტვერდამჭერი მოწყობილობები, აქამდე არსებული გარემოსდაცვითი რეგულაციებისა და მოთხოვნების შესაბამისად იყო დამონტაჟებული და ფუნქციონირებს. არსებული კანონქვემდებარე აქტების გამოქვეყნებისთანავე საწარმოში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელმაც უკვე შეისყიდა უწყვეტი მონიტორინგის სისტემა.

რატომ „გაურბიან“ მძღოლები ტექინსპექტირებას?!

ბოლო ხანს მძღოლები პერიოდულ სავალდებულო ინსპექტირებას თავს პერმანენტულად არიდებენ. ამიტომ ტექნიკური ინსპექტირების ცენტრები საქართველოს მთავრობას მიმართავენ. შესაბამისი წერილი როგორც პრემიერს, ისე ეკონომიკისა და შინაგან საქმეთა მინისტრს რამდენიმე დღის წინათ გადაეგზავნათ, სადაც კომპანიები სავალდებულო ინსპექტირების აღსრულების გააქტიურებას ითხოვენ.

ტექინსპექტირების ცენტრების კავშირის აღმასრულებელი დირექტორი **გიორგი შიოლაშვილი** ამბობს, რომ რეფორმის აღსრულებისთვის მხოლოდ ჭკვიანი კამერები საკმარისი არ არის. თანაც, ჯარიმის მცირე ოდენობის გამო, მძღოლებს ყოველთვე 50 ლარის გადახდა უღირთ და ამით თავს არიდებენ ტექდათვალიერებას.

„მხოლოდ ჭკვიანი კამერების მეშვეობით ამ რეფორმის შედეგიანად განხორციელება შეუძლებელია. პროცესებში აუცილებელია, ჩაერთოს საპატრულო პოლიცია. დღეს ჯარიმის ოდენობა არის 50 ლარი, რაც ტექინსპექტირების საფასურზე ნაკლებია. შესაბამისად, ავტომობილის მფლობელს შეიძლება უღირდეს, არ აღმოფხვრას რამე ხარვეზი, არ გასწიოს შესაბამისი ხარჯი და ყოველთვიურად იხადოს ჯარიმა. აუცილებელია ჯარიმის ოდენობის გაზრდა. ის უნდა იყოს ტექინსპექტირების საფასურზე მეტი და ავტომობილის მფლობელს არ უნდა უღირდეს ჯარიმის გადახდის მეშვეობით გაუმართავი ავტომობილით გადაადგილება“, – განაცხადა შიოლა შვილმა.

ეს პრობლემა მხოლოდ კერძო ავტომობილებით არ შემოიფარგლება. კიდევ უფრო საგანგაშოა ის, რომ ტექდათვალიერებას, პრაქტიკულად, არ გადის საზოგადოებრივი ტრასპორტი, ანუ ისინი ვინც საქალაქთაშორისო მგზავრთა გადაყვანას ახორციელებს. ტრანსპორტისა და გზების ასოციაციის ხელმძღვანელის **დავით მესხიშვილის** ინფორმაციით, ჩატარებული კვლევის თანახმად, 54 000 ერთეული რეგისტრირებული ავტობუსი და მიკროავტობუსიდან ტექინსპექტირება, 2021 წლის ივლისის მდგომარეობით, მხოლოდ 1602-ს ჰქონდა გავლილი.

საქალაქთაშორისო ტრანსპორტის ტექნიკურ მდგომარეობაზე კვლევა ორგანიზაციამ 2021 წელს ჩაატარა და აღმოჩნდა, რომ მგზავრთა გადაყვანა რეგიონების მიმართულებით უმეტესად ხდება ამორტიზებული მიკროავტობუსებით, რომელთაგან ზოგი სამგზავროდ გადაკეთებული სატვირთოა. სწორედ ესაა ის კატეგორია, რომელიც ტექნიკურ შემოწმებას თავს არიდებს, ვინაიდან სტანდარტს მინიმალურ დონეზეც ვერ აკმაყოფილებს.

ტექნიკურ ინსპექტირებას სულ უფრო მეტი მძღოლი არიდებს თავს. ამაზე სტატისტიკაც მიუთითითებს. ავტომობილებისთვის სავალდებულო პერიოდული ტექნიკური ინსპექტირება 2018 წლის 1 იანვრიდან გახდა. 2019 წელს ინსპექტირება რეგისტრირებული ავტომობილების 57.9%-მა გაიარა, 2020 წელს ეს მაჩვენებელი 36.9% იყო, ხოლო 2021 წელს – 46.22%.

ბექა დანელია

საქმის № 01021222100475775 1
99განც/21

7166730361038
www.ecd.court.ge

განჩინება
საქართველოს სახელით

05/11/2021 წელი ქ. ბათუმი

ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია
მოსამართლე ხათუნა ბოლქვაძე

განმცხადებელი: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო
წარმომადგენელი: ზვიად მაკარაძე
განმცხადებლის მოთხოვნა: ქონების უპატრონოდ ცნობა;

განიხილა განცხადება ქონების უპატრონოდ ცნობის თაობაზე და

გამოარკვია

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო განცხადებით მოითხოვს უპატრონოდ იქნას ცნობილი მექანიკური სატრანსპორტო საშუალება, კერძოდ: „გაზ 20 პობედა" ძარა: - 79246, ძრავი LJ 38864, შასი: - 108144, გამოშვებული 1953 წელს, ყავისფერი 1/8.

განმცხადებელი თავის მოთხოვნას ამყარებს შემდეგ გარემოებებზე:
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა 2009 წლიდან ფლობს მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებას, კერძოდ: - „გაზ 20 პობედა" ძარა: - 79246, ძრავი LJ 38864„ შასი: - 108144, გამოშვებული 1953 წელს, ყავისფერი 1/8. ავტომანქანები აჭარის არ საკუთრებად რეგისტრირებული არაა. ავტომანქანების მესაკუთრის დადგენის მიზნით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ გაატარა რიგი ღონისძიებები, " გაზ 20 პობედა" ძარა: - 79246, ძრავი LJ 38864, შასი: - 108144, გამოშვებული 1953 წელს, ირიცხება გურამ აბულაძის საკუთრებად. საქმის მასალებით დგინდება, რომ გურამ აბულაძე გარდაცვლილია. მან ავტომანქანა გაყიდა თავის სიცოცხლეში, მაგრამ მისი შემმენი ცნობილი არაა. ამდენად ავტომანქანის მესაკუთრე ცნობილი არ არის და გადასაწყვეტია მისი საკუთრების ბედი. განმცხადებელი მოითხოვს დასახელებული სატრანსპორტო საშუალება ცნობილი იქნას უპატრონოდ და საკუთრებაში გადაეცეს მის მფლობელს აჭარის ა.რ. რესპუბლიკას.

სასამართლო განმარტავს, რომ ავტომანქანის უპატრონოდ ცნობა დაკავშირებულია რიგ საპროცესო მოქმედებებთან. პირველ რიგში აუცილებელია დადგინდეს მისი მესაკუთრის ვინაობა, ასევე უნდა დადგინდეს მათ საკუთრებასთან დაკავშირებით ვინმეს აქვს თუ არა პრეტენზია. ავტომანქანების მფლობელმა განახორციელა რიგი ღონისძიებები, მაგრამ მან ვერ შეძლო მესაკუთრის ვინაობის დადგენა. ასეთ შემთხვევაში სასამართლო ხელმძღვანელობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 339-ე მუხლის საფუძვლებით, რომლის მიხედვითაც, ქონების უპატრონოდ ცნობის შესახებ განცხადების მიღების შემდეგ სასამართლო ადგილობრივ გაზეთში აქვეყნებს ცნობას, რომელიც უნდა შეიცავდეს: იმ სასამართლოს დასახელებას, რომელმაც უნდა მიიღოს გადაწყვეტილება ქონების უპატრონოდ გამოცხადების შესახებ; განმცხადებლის ვინაობას; იმ ქონების აღწერას, რომელიც უპატრონოდ უნდა გამოცხადდეს; მოთხოვნას იმ პირთა მიმართ, რომელთაც შეიძლება ჰქონდეთ პრეტენზია ქონებაზე, რომელიც უპატრონოდ უნდა გამოცხადდეს, რათა მათ განაცხადონ სასამართლოში თავიანთი უფლებების შესახებ 3 თვის განმავლობაში დღიდან პუბლიკაციისა.

დასახელებული ნორმის მიზანია უპატრონოდ ასაღიარებელი ქონების სამართლებრივი მდგომარეობის გადასაწყვეტად, დაინტერესებულ პირებს ინფორმაცია მიეწოდოთ და ამ გზით დაცული იყოს მათი უფლებები. დაასახელებული ნორმის საფუძველზე სასამართლო მიიჩნევს,რომ სატრანსპორტო საშუალებების უპატრონოდ ცნობისათვის გაზეთ - **"საქართველოს რესპუბლიკაში' (შპს ''თანადგომა -1 გაზეთი საქართველოს რესპუბლიკის გამომოცემელი'' ს/ნ 202411808)** უნდა მოხდეს პუბლიკაციის გამოქვეყნება. პუბლიკაციის გამოქვეყნების მიზანია უპატრონოდ გამოსაცხადებელ ქონებაზე სხვა პირთა პრეტენზიის გამოვლენა.

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 337-341-ე, 284-ე, 285-ე მუხლებით და

დაადგინა:

1. **გაზეთ - "საქართველოს რესპუბლიკაში' (შპს ''თანადგომა -1 გაზეთი საქართველოს რესპუბლიკის გამომოცემელი'' ს/ნ 202411808)** გამოქვეყნდეს პუბლიკაცია მასზედ, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მფლობელობაშია შემდეგი სატრანსპორტო საშუალება:
   -ავტომანქანა "გაზ 20 პობედა" (ძარა: 79246, ძრავი LJ 38864, შასი: 108144, გამოშვების წელი 1953, ფერი: ყავისფერი 1/8).
2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო მოითხოვს დასახელებული ავტომანქანები უპატრონოდ იქნეს ცნობილი და გადაეცეს საკუთრებაში.
3. დაინტერესებულ პირებს განემარტოთ, რომ თუ მათ ჩამოთვლილი სატრანსპორტო საშუალებების მიმართ გააჩნიათ პრეტენზია, შეუძლიათ თავიანთი უფლებების შესახებ განაცხადონ ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) 3 თვის განმავლობაში დღიდან პუბლიკაციისა;
4. განჩინებაზე საჩივარი არ დაიშვება.

მოსამართლე **ხათუნა ბოლქვაძე**

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის გამართვის შესახებ

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ, მიმდინარე წლის 10 თებერვლიდან ცხადდება აუქციონი სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყის ფართობზე, (რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში, ონის, ამბროლაურისა და ლენტეხის შესაბამისი სატყეო უბნების ტერიტორია, საერთო ფართობი - 104 712 ჰა), 49 წლის ვადით სამონადირეო მეურნეობის მოწყობის მიზნით.

ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას „ტყეთ სარგებლობის ლიცენზიების გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №132 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები და შემდეგი დამატებითი სალიცენზიო პირობები:

ა) სალიცენზიო ფართობზე, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში, მოახდინოს წარსულში არსებული სანადირო სახეობების, კერძოდ, კეთილშობილი ირემის (Cervus elaphus Linnaeus - კავკასიური ფორმა) და დომბას (Bison bonasus - ევროპული ბიზონი (დომბა)) რეინტროდუქცია სამონადირეო მეურნეობის მართვის გეგმით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად;

ბ) სალიცენზიო ფართობზე, სახეობათა რეინტროდუქციისათვის, მოაწყოს სამონადირეო მეურნეობის საშენები;

გ) საკუთარი სახსრებით, უზრუნველყოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან (შემდგომში - სამინისტრო) შეთანხმებული წყაროებიდან სანადირო სახეობების შემოყვანა სამონადირეო მეურნეობის საშენებში სადედე გუნდის შესაქმნელად;

დ) საშენების მუშაობა განახორციელოს სამინისტროსთან შეთანხმებული მართვის გეგმის შესაბამისად.

ე) სალიცენზიო ტერიტორიაზე არსებულ ცხოველთა სამყაროს ობიექტების აღრიცხვის მიზნით მათი გადაადგილების აქტიურ ზონებში განათავსოს ფოტო-ხაფანგები სამინისტროს მიერ მიწოდებული ინსტრუქციების და წესების შესაბამისად;

ვ) სამონადირეო მეურნეობის ზონირება განახორციელოს იმგვარად, რომ საფრთხე არ შეექმნას დამსვენებლების, ტურისტებისა და ადგილობრივი მოსახლეობის ტყეში თავისუფლად გადაადგილებასა და უსაფრთხოებას. ამ მიზნით მოაწყოს საინფორმაციო დაფები და გამაფრთხილებელი მანიშნებლები ყველა ძირითად შესასვლელში და ტურისტულ მარშრუტებზე;

ზ) დაგეგმოს და მოაწყოს საცხენოსნო და საფეხმავლო ბილიკები (მოწყობა და მარკირება განხორციელდეს საქართველოში მოქმედი სტანდარტების შესაბამისად);

თ) ხანძარსაწინააღმდეგო წესების დაცვის მიზნით, შეიძინოს და სალიცენზიო ფართობში იქონიოს შესაბამისი ინვენტარი (შენობისა და ტყის ხანძრების თავიდან ასაცილებლად/სალიკვიდაციოდ);

ი) სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზიით სარგებლობისას ხელი არ შეუშალოს სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზიის ფარგლებში არსებულ/გაცემულ ან მომავალში გასაცემ, სოჭის გირჩის, თეთრყვავილას ბოლქვების, ყოჩივარდას გორგილებით სარგებლობის ლიცენზიების, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების და კანონმდებლობით გათვალისწინებული რესურსებით სარგებლობის სხვა ლიცენზიების მფლობელების კანონმდებლობით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებას, მათ შორის, სამთო და შესაბამისი მიწის მინაკუთვნის გამოყენებაში, ასევე ამ ლიცენზიით განსაზღვრული ტერიტორიის ფარგლებში სასარგებლო წიაღისეულის საბადოებსა და გამოვლინებებზე შესაბამისი ლიცენზიების გაცემას, ენერგეტიკული ობიექტების ფუნქციონირებას/განვითარებას, ახალი ენერგეტიკული პროექტების განხორციელებას და ობიექტების მშენებლობას, სხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებასა და ფუნქციონირებას. ამასთან, აღნიშნულ ლიცენზიებთან დაკავშირებით გაითვალისწინოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისი მოთხოვნები, კერძოდ, სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზიის ფარგლებში სასარგებლო წიაღისეულის საბადოებზა და გამოვლინებებზე სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის, აგრეთვე ლიცენზიით განსაზღვრულ ფართობზე სახელმწიფო რეესტრის მიერ დადასტურებული ფართობების გადაფარვის შემთხვევაში, შესაბამისი სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზიის ფართობი შესაძლებელია შემცირდეს შესაბამისი გამოვლინების/საბადოს, კანონმდებლობით გათვალისწინებული რესურსებით სარგებლობის სხვა ლიცენზიის, ასევე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ რეგისტრირებული ფართობის ოდენობის ფარგლებში;

კ) სამონადირეო მეურნეობის მართვის გეგმის შემუშავების/დამტკიცების დროს გაითვალისწინოს სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზიის ფართობზე არსებული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიებისა და საბადოების ადგილმდებარეობა და არ მოაწყოს შესაბამის X და Y კოორდინატებზე სამონადირეო მეურნეობისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა;

ლ) ხელი არ შეუშალოს ტყის მართვის ორგანოს სატყეო-სამეურნეო ღონისძიებების დაგეგმვაში/განხორციელებაში;

მ) ხელი არ შეუშალოს ლიცენზიის არსებულ ფართობზე დაცული ტერიტორიების შექმნას;

ნ) ხელი არ შეუშალოს ლიცენზიით გათვალისწინებულ ტერიტორიაზე ენერგეტიკული პროექტების (მათ შორის, ელგადამცემი ხაზები, ქვესადგურები, ელექტროსადგურები და ა.შ.) განხორციელებას;

ო) სამოყვარულო და სპორტული ნადირობის, შემეცნებითი, რეკრეაციული, სათავგადასავლო და ეკოტურიზმის განვითარების მიზნით სამონადირეო მეურნეობის ტერიტორიაზე განათავსოს შესაბამისი ტურისტული ინფრასტრუქტურა;

პ) სალიცენზიო ფართობის გარე პერიმეტრზე განათავსოს სასაზღვრო ფირნიშები და სამონადირეო მეურნეობის სქემატური რუკა, ხოლო შიდა სამეურნეო ტერიტორიული ერთეულის ფირნიშებზე დატანილი იქნეს შესაბამისი ერთეულის კონტურები;

ჟ) სამონადირეო მეურნეობაში შექმნას ვეტერინარული სამსახური, რომლის საშუალებითაც განხორციელდება სამონადირეო მეურნეობის სავარგულებში მოპოვებული სანადირო რესურსის ვეტერინარული შემოწმება;

რ) განახორციელოს სამონადირეო მეურნეობაში მოპოვებული რესურსის მკაცრი აღრიცხვა - ცხოველების სახეობის, სქესის, ასაკის და წონის მიხედვით, ასევე, მოპოვების თარიღის, ადგილისა და დღის მონაკვეთის მითითებით;

ს) სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზიის მოქმედების პერიოდში, უზრუნველყოს, რომ სამონადირეო მეურნეობაში დასაქმებული პერსონალის 80% წარმოადგენდეს იმ მუნიციპალიტეტების ადგილობრივ მოსახლეობას, რომლებსაც მოიცავს ლიცენზია;

ტ) საქმიანობის დაწყებამდე სამინისტროში შეთანხმებისთვის წარმოადგინოს ზურმუხტის ქსელის ტერიტორიაზე (რომელთაც ემთხვევა სამონადირეო მეურნეობისათვის მოთხოვნილი ფართობი) ზემოქმედების ანგარიში;

უ) სანადირო რესურსით მდგრადი სარგებლობის უზრუნველსაყოფად, ლიცენზიით სარგებლობის მთელ პერიოდში განახორციელოს სანადირო სახეობების ეკოლოგიასთან დაკავშირებული საკითხების (ცხოველთა საბინადრო გარემოს, მათი ქცევის, მიგრაციის, გამრავლების, კვების და ა.შ.) შესწავლა-შეფასება სამონადირეო მეურნეობის მთელ ტერიტორიაზე, ზურმუხტის ქსელის ჩათვლით.

ფ) უზრუნველყოს, რომ სამონადირეო მეურნეობის კუთვნილ ტერიტორიაზე, ხელი შეუწყოს ადგილობრივ მოსახლეობას, დადგენილი მოსაკრებლის გადახდის შემდეგ კანონით დაშვებულ გადამფრენ სახეობებზე ნადირობაში და ამ მიზნით, გამოყოს საზოგადოებრივი სავარგულები, სადაც ადგილობრივი მოსახლეობა შეძლებს გადამფრენ ფრინველებზე ამ პუნქტით განსაზღვრულ სეზონურ ნადირობას;

ქ) ლიცენზიის გაცემიდან 12 თვის განმავლობაში სამინისტროში წარმოადგინოს სამონადირეო მეურნეობის მართვის გეგმის პროექტი მის მიერ სალიცენზიო ფართობზე არსებული ბიომრავალფეროვნების კომპონენტების შესახებ, წლის სხვადასხვა სეზონისთვის ჩატარებული კვლევის საფუძველზე, სამინისტროსთან შეთანხმებული სქემისა და მოთხოვნების შესაბამისად;

ღ) ზემოაღნიშნული დოკუმენტების სამინისტროს მიერ შეთანხმებამდე არ განახორციელოს საქმიანობა, გარდა ტერიტორიის ფიზიკური დაცვისა, ზემოაღნიშნული კვლევების განსახორციელებლად საჭირო საქმიანობისა, გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული ქმედებებისა (ფორს-მაჟორი), სამინისტროსთან წინასწარი შეთანხმების შემთხვევაში, შეზღუდული ინტენსივობით, შეთანხმებულ ფართობსა და სახეობებზე ნადირობისა, დამტკიცებული კვოტების ფარგლებში;

ყ) სამონადირეო მეურნეობის მოწყობისას გაითვალისწინოს შესაბამისი სივრცითი მოწყობის გეგმებით განსაზღვრული მუნიციპალიტეტების განვითარების პერსპექტივები; სისტემატურად განახორციელოს გაცნობითი შეხვედრები ადგილობრივ მოსახლეობასთან, ითანამშრომლოს შესაბამის მუნიციპალიტეტთან, რათა თავისი საქმიანობის პროცესში გათვალისწინებულ იქნეს ადგილობრივი მოსახლეობისა და მეწარმეთა ინტერესები;

შ) სამონადირეო მეურნეობის მოწყობისთვის/ფუნქციონირებისთვის სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზიის მიღებიდან 5 (ხუთი) წლის განმავლობაში, განახორციელოს არანაკლებ 5 000 000 (ხუთი მილიონი) ლარის ინვესტიცია. ინვესტიციის განხორციელება და ამ განკარგულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება დადასტურებული უნდა იყოს დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ გაცემული დასკვნით, რომელიც ლიცენზიის მფლობელმა უნდა წარმოადგინოს სსიპ - გარემოს ეროვნულ სააგენტოში და სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებაში - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტში ლიცენზიის მიღებიდან არაუგვიანეს 66 (სამოცდაექვსი) თვისა. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული ინვესტიცია სრულად განხორციელდება 5 (ხუთი) წლის გასვლამდე, აღნიშნული დასკვნა წარმოდგენილი უნდა იქნეს ინვესტიციის სრულად განხორციელებიდან მე-6 თვეს.

აუქციონის შესახებ სხვა დამატებითი ინფორმაცია და გამართვის ვადები შეგიძლიათ იხილოთ ინტერნეტ-გვერდზე https://www.eauction.ge.

ცილისმწამებლური კამპანია პენიტენციური სამსახურის წინააღმდეგ

შეუსაბამო და რეალობას მოკლებულია გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს ციხეებში კოვიდ-19 მასობრივად გავრცელდა და პენიტენციური სამსახური ეპიდვითარებას ვერ მართავს, — ამის შესახებ ინფორმაციას პენიტენციური სამსახური ავრცელებს.

მათივე ინფორმაციით, განვმარტავთ, რომ სპეციალური პენიტენციური სამსახურის წინააღმდეგ კვლავ გრძელდება ცილისწამებლური კამპანია, რომელიც საზოგადოებაში უწყების იმიჯის შელახვას ემსახურება.

„აღსანიშნავია, რომ პენიტენციურ დაწესებულებებში ვირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით, ინტენსიურ რეჟიმში, ორ კვირაში ერთხელ, ხორციელდება ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა PCR ტესტირება. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე ბრალდებულს/მსჯავრდებულს ვირუსისთვის დამახასიათებელი სიმპტომები გამოუვლინდება, ხორციელდება დამატებითი ტესტირება, როგორც მისი, ისე მასთან შემხებლობაში მყოფი პირების.

ვირუსის დადასტურების შემდგომ, სიმპტომების არსებობის შემთხვევაში, ისინი ჯანმრთელობის მდგომარეობის შემდგომი მონიტორინგის მიზნით, სამოქალაქო სექტორის კლინიკაში თავსდებიან.

საყურადღებოა, რომ ის ბრალდებულები/მსჯავრდებულები, რომელთაც ქრონიკული დაავადებები აღენიშნებათ, ვირუსისთვის დამახასიათებელი სიმპტომების გამოვლენისთანავე, თავსდებიან სამოქალაქო სექტორის კლინიკაში სამედიცინო პერსონალის მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ.

აღსანიშნავია, რომ ამ დროისთვის დადასტურებული 71 შემთხვევიდან, სამოქალაქო სექტორის კლინიკაში რჩება მხოლოდ 57 კოვიდინფიცირებული, დანარჩენი 14 მსჯავრდებული უკვე გამოჯანმრთელდა და დაბრუნდება სასჯელის მოხდის ადგილზე.

მნიშვნელოვანია, რომ პენიტენციურ დაწესებულებებში ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ვაქცინაცია კვლავ აქტიურ რეჟიმში მიმდინარეობს.

არსებული მონაცემებით, ვაქცინირებულია ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა - 86%, რევაქცინირებულია — 81%, ე.წ. ბუსტერ დოზით ვაქცინაცია კი ჩაუტარდა 3076 მსჯავრდებულს. ასევე, ვაქცინირებულია პენიტენციური სამსახურის თანამშრომელთა 94 %“, — ნათქვამია პენიტენციური სამსახურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

17 წლის მკვლელი

პოლიციამ მარნეულში მომხდარი განზრახ მკვლელობის ფაქტი ცხელ კვალზე გახსნა — დაკავებულია ერთი პირი. როგორც შსს-ს მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, დაკავებულმა 17 წლის ბიჭმა ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე 30 წლის ა.ი. ცივი იარაღის გამოყენებით დაჭრა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა:

შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 2005 წელს დაბადებული ა.მ. განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს. დანაშაული 7-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა ქალაქ მარნეულში, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, 1992 წელს დაბადებული ა.ი. ცივი იარაღის გამოყენებით სასიკვდილოდ დაჭრა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. პოლიციამ ა.მ. ცხელ კვალზე დაიკავა. სამართალდამცველებმა დანაშაულის ჩადენის იარაღი — დანა ნივთმტკიცების სახით ამოიღეს.

ი. ჟორდანიას და ა. ხომასურიძის რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტი აგრძელებს მუშაობას მისამართზე- თევდორე მღვდლის,13 ა,VII სართული. ტელ.224 00 99; 224 00 98.

მალე გაიხსნება ქირურგიული და ინ ვიტრო განყოფილებები. გისურვებთ ჯანმრთელობას!

დაფინანსებენ კომპიუტერულ თამაშს „დიდგორს“

8 თებერვალს, დავით აღმაშენებლის ხსენების დღესთან დაკავშირებით კომპიუტერული თამაშის „დიდგორი“ თრეილერის წარდგინება შედგა. კომპიუტერული თამაშის თრეილერი კულტურის სამინისტროს მიერ გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებული პროექტის „ძლევაი საკვირველის“ ფარგლებში შეიქმნა.

კონკურსში გამარჯვებულმა კომპანიამ „სილესტიალ დიმენშენი“ ქართული კომპიუტერული თამაშის „დიდგორი“ თრეილერი დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს წარუდგინა საზოგადოებას. აღსანიშნავია, რომ საქართველოში პირველად სახელმწიფო აფინანსებს კომპიუტერულ თამაშს. კულტურის სამინისტრომ მოცემული კონკურსი დიდგორის ბრძოლიდან 900 წლის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით გამოაცხადა.

სამინისტრომ გაითვალისწინა 21-ე საუკუნის ახალგაზრდების მზარდი ინტერესი ციფრული მედიის მიმართ და სწორედ ამის საფუძველზე გადაწყდა ისეთი პროექტის შექმნა, რომელიც თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების საშუალებით გააცოცხლებს ამ უმნიშვნელოვანეს ისტორიულ თარიღს და მოახდენს მის პოპულარიზაციას ახალგაზრდა თაობებში, მათი საჭიროებებისა და ინტერესების გათვალისწინებით.

სტრატეგიული თამაშის მეშვეობით მოხდა ბრძოლის მაქსიმალურად რეალისტური სურათის აღდგენა. თამაშის მექანიკა აგებულია ტაქტიკური სტრატეგიის პრინციპზე (მოთამაშის მიერ ბრძოლის იზომეტრიულ ხედვაზე). მეომრების აღჭურვილობა და ანიმაციურ ვიდეორგოლებში გადმოცემული ეპოქალური მოვლენები მაქსიმალურად ავთენტურია, ხოლო ილეთები დაეფუძნა ქართული საბრძოლო ხელოვნების ელემენტებს. კომპიუტერული თამაშის შექმნის პროცესში პროექტის გუნდს კონსულტაციას უწევდა ისტორიკოსი, დავითის ეპოქის მკვლევარი მიხეილ ბახტაძე.

დმანისში თეატრალური ცხოვრება აღდგება

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი თეა წულუკიანი, რეჟისორ გიორგი სიხარულიძესთან ერთად, სსიპ დმანისის ზინაიდა კვერენჩხილაძის სახელობის პროფესიულ სახელმწიფო დრამატულ თეატრს ესტუმრა.

სამუშაო შეხვედრა გაიმართა დმანისის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების ცენტრში, სადაც ბოლო წლებში მართავდა ხოლმე სპექტაკლებს დმანისის თეატრი, რომელიც ამჟამად პრაქტიკულად მხოლოდ ფურცელზე არსებობს, ვინაიდან არ გააჩნია შენობა და არ ჰყავს მსახიობები. მინისტრმა რეჟისორ გიორგი სიხარულიძესთან, დმანისის მუნიციპალიტეტის მერთან, კობა მურადაშვილთან, დმანისის კულტურისა და ხელოვნების ცენტრის ამაგდარ წარმომადგენელთან, ცნობილ არქეოლოგ ჯუმბერ კოპალიანთან და მუნიციპალიტეტის სხვა წარმომადგენლებთან ერთად, დაათვალიერა დმანისის კულტურისა და ხელოვნების ცენტრი და გაეცნო როგორც ცენტრის მუშაობის სპეციფიკას, ასევე ცენტრის სამუზეუმო სივრცის ისტორიას და ჯუმბერ კოპალიანისგან ექსპონატების შესახებ ამომწურავი ინფორმაცია მიიღო. თეა წულუკიანმა ასევე დაათვალიერა დმანისის ე.წ. მსახიობის სახლი, სადაც დმანისის თეატრის სპექტაკლებში მონაწილეობის მისაღებად, ჯერ კიდევ 1990-იანი წლებიდან სხვადასხვა რეგიონიდან ჩამოსული მსახიობებისთვის დროებითი საცხოვრებელი სივრცე იყო მოწყობილი. ამჟამად შენობა რეაბილიტაციას და სათანადო ინვენტარით აღჭურვას საჭიროებს.

სამუშაო შეხვედრაზე კულტურის მინისტრმა დმანისის თეატრის აღორძინების ურთულეს საკითხსა და დმანისის კულტურისა და ხელოვნების ცენტრის სამუზეუმო სივრცის სამართლებრივ სტატუსზე იმსჯელა. შედგა შეთანხმება, რომ კულტურის სამინისტრო, მუნიციპალიტეტთან თანამშრომლობით, დაიწყებს მუშაობას დმანისის თეატრის განვითარებასა და მსახიობის სახლის რეაბილიტაციაზე იმისათვის, რომ სხვადასხვა თეატრის დასები აღდგენილი დმანისის თეატრს გასტროლებით ესტუმრონ, რაც რაიონის არა მხოლოდ კულტურულ, არამედ ტურისტულ პოტენციალსაც მნიშვნელოვნად გაზრდის.

ქართული ფილმები ტოკიოში

იაპონიის დედაქალაქში ქართული ფილმების რეტროსპექტივა მიმდინარეობს. ტოკიოს ერთ-ერთ ყველაზე ცნობილი კინოთეატრი — „ივანამი ჰოლი“ თებერვალში მაყურებელს 34 ქართულ ფილმს უჩვენებს. პროგრამა შედგენილია ქართული კულტურის გულშემატკივრის, ტაკეჰიდე ჰარადას, იაპონიის საელჩოსა და ეროვნული კინოცენტრის თანამშრომლობით.

საჩვენებელ ფილმთა სიაშია **„თეთრი ქარავანი, „ელისო“, „ცისფერი მთები ანუ დაუჯერებელი ამბავი“, „ფიროსმანი“, „მაგდანას ლურჯა“, „ნეილონის ნაძვის ხე“.**

პირველი ადამიანი მსოფლიოში, რომელმაც პარალიზებას სძლია

მიშელ როკატი პირველი ადამიანია, რომელსაც ზურგის ტვინის ფუნქცია სრულად ჰქონდა მოშლილი, თუმცა, შვეიცარიელი მკვლევარების მიერ შემუშავებული იმპლანტის მეშვეობით, სიარული შეძლო.

როკატი 5 წლის წინ, მოტოციკლით, ავარიაში მოჰყვა. ზურგის ტვინის სრულად გაწყვეტის შემდეგ, ფეხებში მგრძნობელობა 100%-ით დაკარგა. აქამდე, მსგავსი ტრავმის შემდეგ, დამოუკიდებლად არავის გაუვლია.

„დამოუკიდებლად ვდგები, მივდივარ სადაც მინდა, კიბეებზე სიარულიც შემიძლია — ეს თითქმის ნორმალური ცხოვრებაა. ავარიამდე, კრიკით ვიყავი დაკავებული, დავრბოდი და ფიტნესინსტრუქტორად ვმუშაობდი დარბაზში. ავარიის შემდეგ, ველარ ვაკეთებდი იმას, რაც მიყვარდა, მაგრამ გუნება-განწყობა არ დამიკარგავს. რეაბილიტაცია არასდროს შემიწყვეტია“, — ამბობს ბიჭი.

ჰაშიში პუტინის გამოსახულებით

ლიბიაში, ქალაქ ელ-მარჯის მცხოვრებმა ზღვის ნაპირზე 323 ბრიკეტი ჰაშიში იპოვა, რომლებზეც რუსეთის პრეზიდენტი, ვლადიმერ პუტინია გამოსახული. კაცმა ნარკოტიკების აღმოჩენის შესახებ სამართალდამცველებს შეატყობინა. რამდენიმე დღის წინ, ქვეყნის რამდენიმე პლაჟზე ჰაშიშის კიდევ რამდენიმე პარტია აღმოაჩინეს, რომლებზეც კოლუმბიელი ნარკობარონი პაბლო ესკობარია გამოსახული.

პოლიციაში ვარაუდობენ, რომ ჰაშიშის რამდენიმე პლაჟზე აღმოჩენის მიზეზი ზღვაში ნარკოტიკების კონტრაბანდული პარტიის ჩაძირვა გახდა.

„იყიდება ქმარი“

ახალი ზელანდიის მცხოვრებმა ქალმა ქმრის გაყიდვა მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც მეუღლემ ის ორ ბავშვთან ერთად მარტო დატოვა სკოლის არდადეგების პერიოდში. ლინდა მაკალისტერი ჯონს 2019 წელს გაყვა ცოლად. იმ მომენტისთვის მათ ორი ვაჟი უკვე ჰყავდათ. ოთხი წლის კოლტი და ექვსი წლის რაიდერი. ბავშვებს ცოტა ხნის წინ სკოლის არდადეგები დაეწყოთ და მაკალისტერის თქმით, ამან დღის რეჟიმზე იმოქმედა, ბავშვებმა გვიან დაძინება დაიწყეს.

ამ დროს კი ქმარი სათევზაოდ წავიდა და ლინდა შვილებთან მარტო დატოვა. ცოლი ქმრის საქციელმა გააბრაზა და სამაგიეროს გადახდა, Trademe-ზე მისი გაყიდვით გადაწყვიტა.

„იყიდება ქმარი. სიმაღლე — 184 სმ, ასაკი — 37 წელი. უყვარს ნადირობა და თევზაობა, იზიდავს ფერმერობა. შეუძლია თვითდამშვიდება. გავცვლი და დანამატს არ მოვითხოვ“, — დაწერა მაკალისტერმა განცხადებაში. მაკალისტერი ამბობს, რომ ჯონი ყურადღებით აკვირდებოდა აუქციონს, რადგან დარწმუნებული იყო, რომ არცთუ ისე ცოტა თანხას შესთავაზებდნენ, მაგრამ საბოლოოდ მასში მხოლოდ 100 ახალი ზელანდიური დოლარის გადახდას დათანხმდნენ.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ვაჟა ფშაველას №48
ტელ: 239-03-43

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძობულია
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1- გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა პარასკევს, 11 თებერვალს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.9480; ევრო - 3.3669;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.9810;
100 რუბლი - 3.9079; თურქული ლირა - 0.2173;
აზერბაიჯანული მანათი - 1.7364;
1000 სომხური დრამი - 6.1191.

ამინდი 9 თებერვლისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	-2,	დღე	+15
მთიანი რაიონები -	ღამე	-4,	დღე	+11
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+4,	დღე	+14
მთიანი რაიონები -	ღამე	-6,	დღე	+5
თბილისი:	ღამე	+2,	დღე	+14

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge